# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 75 ოთხშაბათი, 8 აპრილი 1909 წ. № 75

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დაბეჭდვი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით უზრდელად ... მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის ... საათიდან ... დღეის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ზოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭВА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკი აცხადებს, რომ პანაშვიდი ახლად გარდაცვლილ გამგეობის ყოფილ წევრის

გენ.-მაიორის ქრისტეფორე იოსების ძის

**მამაცაშვილის**

სულის მოსახსენებლად მოხდება ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზე, დღეს, 8 აპრილს, ნაშუადღევის 2 საათზე. (1—189—1)

აზნაური **ნესტორ ლევანის ძე**, მეუღლე მისი **ელისაბედ** და შვილები **სამსონ** და **ალათი** ნესტორის ძე და ასული იოსელიანები და **ანტიპოზ იულონის ძე თოფურიძე** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველნი—უძვირფასეს შვილის, მეორენი დაუვიწყარ ძმის და მესამე—საყვარელი დისწულის ქუთაისის გიმნაზიის მე-8 კლასის მოწაფის

**კონსტანტინესი**

უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია 9 აპრილს, ხუთშაბათს. დილის 10 საათზე. ცხედარს გამოასვენებენ ბაღის ქუჩ. მესამე მოსახვევი, სიამაშვილის სახლი, N 10. (1—კვ.—1)

მღვდელი **ალექსი, დიმიტრი** და **ივანე პეტრეს ძენი** და **სოფიო პეტრეს ასული ეპიტაშვილები, სალომე პეტრეს ასული ნელუბოვისა, ნინო პეტრეს ასული მთავრიშვილისა, მარიამ პეტრეს ასული მოლოდინოვისა** მეუღლებითურთ, **სოლომონ მიხეილის ძე ჯაფარ ძე** შვილებით, **გაიანე იოსების ასული** და **ოლღა ლუარსაბის ასული ეპიტაშვილებისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას 5 ამა აპრილს: პირველნი—უძვირფასეს დედის, მეორენი—სიდედრის, ხოლო უკანასკნელნი—დედამთილის

**ეკატერინე დავითის ასულის, მღვდელის პეტრე ეპიტაშვილის ქვრივისას,**

და სთხოვენ დაესწრნენ ცხედრის გამოსვენებას 9 აპრილს, დილის 9 საათზე, სოფ. მარტყოფში. წირვა და ანდერძი წმ. სამების ეკლესიაში. დაკრძალვა იქვე. (2—185—1)

**ლევან ზურაბის ძე ადამიას**

გარდაცვალების ნახევარ წლის თავზე, 9 აპრილს გადახდილ იქნება წირვა კუკიის სასაფლაოს ეკლესიაში, ხოლო წირვის შემდეგ პანაშვიდი განსვენებულის საფლავზე, რასაც განსვენებულის მეუღლე **ელენე ვასილის ასული ადამია** შვილებითურთ აუწყებს თავის ნათესავებს და ნაცნობებს. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (1—187—1)

**წარმოდგენა № 10. ქართული თეატრი წარმოდგენა № 10**

ოთხშაბათს, 8 აპრილს, 1909 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

**ბენეფისი ვასო აბაშიძისა**

I **შერცხვენილი ქმარი** — კომ. 3 მოქმედ. მოლიერისა თარგ. გ. თუმანიშვილისა.

II **ქორწილის ფინ** — ოპერეტა 1 მოქმედ. მუზ. ქონასისა თარგ. ვ. აბაშიძისა.

III **მეჯლისი იტალიელებით** — ოპერეტა 1 მოქმედებად მუზ. ოფენბახისა თარგ. ვ. აბაშიძისა. მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

**საოპერო ორკესტრი პ. ფალიაშვილის ლოტბარობით**

**ადგილების ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ საათზე.**

**რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.

**THE ROYAL VIO**

TRADE MARK

ძმ. ნიკიტინის ცირკის შენობაში

**ყოველ დღე წარმოდგენები**

ოთხშაბათს, 8 აპრილს. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**დიდი საინტერესო წარმოდგენა**

**მესამე სერია**

**სულ ახალი პროგრამა**

კვირაობით და უქმეობით შუადღის 12 საათზე დიდი საოჯახო წარმოდგენები. მოსწავლენი იხდიან 20 კაპ.

**ანონსი:** პარასკევს, 10 აპრილს, **სრული გამოცვლა პროგრამისა.** (1—ნას.—1)

**მაისის პირველ რიცხვებში მუშტაიდის ბაღში**

**გაიმართება**

**დიდი სახალხო სეირნობა და საქველმოქმედო ბაზარი**

**ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ**

„საზოგადოების" გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვინც კი თანაუგრძნობს სახალხო განათლების საქმეს, კეთილ ინებონ და გამოგზავნონ შემოწირულება ფულით თუ ნივთებით გამგეობის კანცელარიაში (სასახლის ქ., თ.-აზნაურობის ქარვასლა), ან სეირნობის გამგის ელისაბედ ალექსანდრეს ასულის ყაზბეგის ბინაზე (ოლგის ქ. № 4).

გამგეობა სთხოვს შემომწირველთ შემოწირულების გადაცემის დროს ბარათი მიიღონ იმისგან, ვისაც გადასცემენ ნივთს თუ ფულს.

**11 აპრილს 1909 წელს**

**გაიმართება საცეკვაო საღამო საკონცერტო განყოფილებით**

**ქართველ ქალთა ამხანაგობის სახელოსნო სკოლის სასარგებლოდ.**

კონცერტში მონაწილეობა აღუთქვეს ქართველ და ევროპიულ მომღერალთ, დამკვრელთ და წამკითხველთ.

**დაუკრავს სამხედრო მუსიკა, საზანდარი.**

ტფილისის ბირჟის სადგომში, სომხის ბაზარი, სახლი საკრედიტო საზოგადოებისა.

**დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.** (4—6.—1)

დღეს, რვა აპრილს, დილის ათ საათისთვის, **პუშკინის სამკითხველოში,** ალექსანდროვის ბაღთან, დანიშნულია

**ტფილისის წვრილ-ვაჭართა პროფესიული საზოგადოების წევრთა**

**კ რ ე ბ ა**

რადგან ეს **კრება მეორეა, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კანონიერად ჩაითვლება,** ამიტომ ვთხოვთ ყველა წევრებს უთუოდ დაესწროს კრებას.

ტფილისის წვრილ-ვაჭართა პროფესიულ საზოგადოების

(1—186—1) **მთავარი კომიტეტი.**

ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ერთად-ერთი წარმომადგენელი ყოვლად საუკეთესო უტყუარ

**„პასხალიდის"**

**აბრეშუმის თესლისა**

მთელი გურიისა და ბათუმის ოლქისა არის

**მათე გაბრიელის ძე რუსიძე,** რომლის კანტორა და თესლის უმთავრესი საწყობი იმყოფება ქ. ბათუმში, მარინსკი პროსპ., სახლი № 34, პოლიციის გვერდზე.

**განყოფილება: მიხაილოვის ქუჩა, კანტორა „იმედი".**

წელს ეს თესლი, გასულ წლებთან შედარებით, **ბევრად იაფია,** ვინაიდან ფირმასთან არის შეკრული მრავალ-წლიური პირობა და დიდი „ზაკაზიც". თესლის მყიდველები რაც ადრე შეიძენენ, იმდენად იაფად დაეთმობათ. (9—ჩხ—9)

**ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსხეს ქუჩა, N 11. (75—49)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—94)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აგჯალის ქუჩა, N 41, სახელმწიფო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლღას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი ქუთაისში ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 34)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—დ.—98)

**დ**ხონში ქირავდება აბრეშუმის ამოსალები ქარხანა და პარკის სახრობი და სახმობი ფარდული სანოძისა.

პირობების გაგება შეიძლება ქუთაისში ონისიმე ოტიას ძე ვარდოსანიძესთან (ფოსტაში) და ხონში კბილის ექიმ ქ-ნ სანოძესთან, საკ. სახლი. (10—კვ.—7)

ახლად გახსნილი

**ტფილისის**

**კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

**გ. მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქ ლ ებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი.**

**ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

**ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—30)

**დავკარგე** მარტის 1-ლ რიცხვს დაბა ჩოხატაურში უბის წიგნაკი, ფულად სამი მან., იარაღის ტარების ნებართვა და 35 მანეთის ბარათი. მნახველს მიეცემა საჩუქარი.

სურების საზოგადოების მწერალი

**ლავროსი კაპიტონის ძე ჩხიკვაძე.**

**გამოვიდა და ისყიდება**

შ. ირეთელის ახალი პიესა

**„ქრისტინე"**

დრამა 4 მოქმ. 5 სურათათ

(სიუჟეტი აღებულია ე. ნინოშვილის მოთხრობიდან).

წიგნი შეიცავს 80 გვერდს, დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე სუფთად და ღირს 20 კ.

შემოსავლიდან 10% გადადებულია ნინოშვილის ფონდისთვის. წიგნის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ნაღდ ფულზე, შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Типографія „Шрома" Т. Е. Болквадзе.

ვინც 50—100 ცალამდე გამოიწერს დაეთმობა 25%.

ვინც პროვინციიდან თითო ცალს გამოიწერს შეუძლია ფულის მაგიერ გამოგზავნოს აბაზის მარკა და წიგნს მიიღებს. (5—177—4)


## ტფილისი, 8 აპრილი

ჩვენს მკითხველს, უეჭველია, ახსოვება, რომ 1906 წლიდან ქართველ საზოგადოების ზომიერმა ელემენტებმა, ან, უკეთ რომა ვთქვათ, ზომიერმა მოღვაწეებმა თავიანთი კრიტიკა საქართველოში გავრცელებულ მიმართულებათა წინააღმდეგ ეგრედ წოდებულ რეალურ პოლიტიკის პრინციპებზე დაამყარეს. სახალხო მოძრაობის დამარცხების შემდეგ ზომიერი მოღვაწენი ფართო მასალას პოულობდნენ ასეთ კრიტიკისთვის და ხშირად გამანადგურებელის დაცინვით ეკიდებოდნენ იმას, რაც სულ სხვაგვარმა პირობებმა და ძალებმა უკვე სამარის კარამდე მიიყვანეს. ზომიერების მოტრფიალე მოღვაწენი და მწერალნი მჭევრმეტყველურად ასაბუთებდნენ უკიდურეს მიმართულებათა მიზანშეუწყობლობას და გადაჭრით მოითხოვდნენ გამოფხიზლებას და გამორკვევას, ე. ი. რეალურ პოლიტიკის გზაზე დადგომას.

იმას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. უკიდურეს მიმართულებათა მიმდევარნი ან სულერთიან გაჩუმდნენ, ან იმდენად შეასუსტეს მათ თავიანთ მოქმედების ხასიათი, რომ უკიდურესობისა თითქმის აღარაფერი არ ეტყობათ. უნებურად და გულის ტკივილით, მაგრამ მაინც კი თანდათან დასცალეს მათ საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზი და ფაქტიურად მოქმედების ფართო გზა გაუხსნეს ზომიერ ელემენტებს.

დაახლოვებით სწორედ ასეთივე ისტორია მოხდა შიდა რუსეთში, პოლონეთში და რუსეთის იმპერიის სხვა ნაწილებში. ყველგან ერთი და იგივე ძალა ჰკუსრავდა უკიდურეს მიმართულებას, ყველგან ერთი და იგივე ძალა ანადგურებდა მას. ამ ნანგრევების სანახაობით ან ამ შემუსვრის მოლოდინში საზოგადოების ზომიერი ელემენტები ყველგან გამბედაობას იძენდნენ, ყველგან სიამაყეს იკრეფდნენ. განსხვავება მხოლოდ ამის შემდეგ იწყება.

სადაც საზოგადოების ზომიერ ელემენტებს რაიმე შინაგანი სულიერი ძალა გააჩნდათ, იქ უკიდურეს მიმართულებათა უკან დახევას მოჰყვა ზომიერ ელემენტების განცხოველებული საზოგადოებრივი თვითმოქმედება. უფრო მეტის თქმა შეიძლება: სადაც ზომიერი მიმართულება რაიმე იდეალების გულწრფელი მატარებელი იყო, იქ მან მხოლოდ რევოლიუციის დამარცხების შემდეგ შესძლო თავისი მნიშვნელობა დაემტკიცებინა საქმით. რუსეთის კადეტების სახელი და პატივი იმდენად მიმზიდველი არასოდეს არა ყოფილა ფართო საზოგადოებისთვის, როგორც მას შემდეგ, როცა რეაქციამ თითქმის სულერთიან ჩააკმენდინა ხმა რუსეთის სარევოლიუციო პარტიებს. ადვილი გასაგებია, რად მოხდა ეს.—იმიტომ რომ, სწორედ, გამძვინვარებულ რეაქციის ხანაში ჰგრძნობს ღრმესად და უმტკივნეულესად ფართო საზოგადოება პროგრესიულ მოთხოვნათა მინიმუმის აუცილებელ საჭიროებას. ზომიერი მიმართულება სახალხო მოძრაობის დროს საკმაოდ არ განსხვავდებოდა რეაქციონურ და კონსერვატიულ მიმართულებისაგან, მით უმეტეს რომ ხშირად ეს უკანასკნელიც თავისუფლად და თამამად ჰხარჯავდა ლიბერალურ ფრაზებს. რუსეთის ოქტომბრისტების და კადეტების შორის წინად, ვიდრე რეაქცია მთელის თავის ძლიერებით გაიშლებოდა, ისეთი მცირე საპროგრამო განსხვავება იყო, რომ ფართო საზოგადოება ამ განსხვავებას მაგრე რიგად ყურადღებას არ აქცევდა. სულ სხვაა ეხლა, როცა ოქტომბრისტებს სწორედ მოპირდაპირე პოზიციები უჭირავთ. კადეტები ეხლა ისე გულწრფელად და ისე მედგრად იცავენ და ეძიებენ ხალხის თავისუფლების ელემენტარულ პირობებს, რომ ფართო საზოგადოება მათის ბრძოლის გულცივი მაყურებელი ვერა რჩება.

ზომიერ მიმართულების მიმდევრებმა, რეაქციის გაძლიერების შემდეგ, პრესტიჟის მხრივ ბევრი რამ მოიგეს; მოიგეს, მაგრამ მხოლოდ იმ ზომიერ მიმართულების მიმდევრებმა, რომელთაც მართლა საკმაო შინაგანი სულიერი ძალა ჰქონდა". სულ სხვა ბედი ეწიათ ზომიერ მიმართულების იმ გვარ მიმდევრებს, რომელთაც რეალურ პოლიტიკის პრინციპები მხოლოდ სიტყვის მასალად მიაჩნდათ უკიდურეს მიმართულებათა დასაწიხლავად. ამ ტიპის ზომიერმა მოღვაწეებმა განსაზღვრული სამსახური გაუწიეს რეაქციას, შეიძლება უნებურადაც, იმით, რომ გაუადვილეს მას უკიდურეს მიმართულებათა დაძლევა, მაგრამ რეაქციის გამტკიცებამ თვით ამ ზომიერ მოღვაწეებსაც საბოლოოდ აუგო ანდერძი: უკიდურეს მიმართულებათა კრიტიკას ყოველივე პრაქტიკული აზრი დაეკარგა, თავიანთ საკუთარ მოქმედების გასაშლელად კი ზომიერებს საკმაო შინაგანი ძალა არ აღმოაჩნდათ. სამწუხაროდ და სავალალოდ, სწორედ ასეთი სამგლოვიარო როლი შეასრულეს ჩვენს ცხოვრებაში ჩვენებურმა ზომიერმა მოღვაწეებმა.

ვიდრე უკიდურეს მიმართულებათა კრიტიკას გარეგანი მედიდურება ახასიათებდა, ჩვენი ზომიერი მოღვაწენი და პუბლიცისტები სამოქალაქო გამბედაობაზედაც ლაპარაკობენ, შემოქმედებითს მუშაობაზედაც, რეალურ პროგრამების შემუშავებაზედაც, მაგრამ როცა რეაქციამ ამ კრიტიკას ფაქტიური ნიადაგი გამოაცალა, აღმოჩნდა, რომ ჩვენებური ზომიერი მიმართულება უბრალო სიტყვათა რახა-რუხი ყოფილა და სხვა არაფერი.

ვინ იცის, იქნება არასოდეს არა ყოფილიყოს ისე საჭირო ზომიერ მოღვაწეების თვით მოქმედება, როგორც ეხლა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ არსად რუსეთში ზომიერი მიმართულება ისე უქნარი და ისე ფუჭი არ გამომდგარა, როგორც ჩვენში. მას შემდეგ, რაც ჩვენებურ ზომიერ მოღვაწეებს გზა გაეხსნათ თავიანთ „რეალურ პოლიტიკის" საწარმოებლად, ოთხი წელიწადია და ამ ხნის განმავლობაში მათ არაფერში, არც ერთ საქმეში არ გამოუჩენიათ ფხა, გარდა უკიდურეს მიმართულებითა დამცირებისა. ამ უკანასკნელ საქმეში ვარჯიშობამაც უკვე თავისი დრო მოსჭამა და ეხლა ჩვენებური ზომიერი მიმართულებანი მთლად დაცალიერებულნი გახლავან. კარს მომდგარი გასაჭირი და საქმე კი უთვალავია. ისტორიამ პატიება არ იცის. ეს არ უნდა ავიწყდებოდეთ ჩვენს ზომიერ მოღვაწეებს. ეხლანდელი მათი უმოქმედობა უშედეგოდ არ ჩაივლის. მოვა დრო და მათ ამისი პასუხი მოეთხოვებათ. რით უნდა გასცენ მაშინ პასუხი ისტორიის განკითხვას, ნუ თუ იმითვე, რითაც 1905 წელს შეჰხვდნენ!

# არეულობა ოსმალეთში

(პეტ. დეპ. სააგენტოს დეპეშები)

**სტამბოლი**. დეპუტატთა პალატამ ექვს აპრილს მიიღო წინადადება—წარედგინოს მთავრობას შეკითხვა ადანში სომხების აკლება-აწიოკების შესახებ. წაიკითხეს მრავალი დეპეშა. დეპეშის გამომგზავნნი აცხადებენ—მზადა ვართ დავიცვათ პარლამენტიო. მცირე აზიაში კასტამუნის ვილაიეტმა თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა იმ დრომდე, სანამ ახლად დანიშნული უკანონო კაბინეტი არ იქნება გადაყენებულიო. პირიქით, დიარბეკირელებმა შემოსთვალეს, სასტიკად დავსჯით სარწმუნოების შეურაცხმყოფლებსაო. პალატამ ექვს აპრილისთვის გადასდო პასუხების დაგზავნა.

**ვენა**. „კორ.-ბიურო"-ს სოფიიდან (ბოლგარიიდან) დეპეშით ატყობინებენ: დიდი აგიტაციაა მცხოვრებთა და, განსაკუთრებით, აფიცერთა შორის იმის შესახებ, რომ ბოლგარია ოსმალეთის საქმეებში ჩაერიოს. გაზეთი „ვეჩერნია პოშტა" თხოულობს, ევროპამ უფლება მისცეს ბოლგარიას, აღადგინოს წესრიგი ოსმალეთში. ოფიციოზური გაზეთი „ვრემია" აცხადებს: თუ ეხლანდელ ანარქიას ოსმალეთში მალე არ მოეღო ბოლო, ბოლგარია მოვალეა კაცობრიობის და თავის ინტერესების დასაცველად აღადგინოს ოსმალეთში წესიერებაო.

ბოლგარიის მეფემ ფერდინანდმა მიიღო რუსეთის დიპლომატიური აგენტი.

„კორ.-ბიურო"-ს დეპეშით ატყობინებენ სტამბოლიდან: ტრაპიზონში 4000 კაცი, ხოლო ერზინჯაში 15,000 კაცი მზად არის სალაშქროდ წავიდეს სტამბოლს.

დეპუტატთა წრეებში მოელიან, რომ 6 აპრილს დაეცემა ოსმალეთის ახალი სამინისტრო.

**სტამბოლი**. პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელმა მთელი სტამბოლი მოიარა. ყველგან სიწყნარეა. არსად არა სჩანს მზადება ახალგაზრდა ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მაღაზიები ღიაა. ქუჩები სავსეა ხალხით. კომიტეტის ჯარის მოწინავე ლაშქარმა სან-სტეფანო დაიჭირა. 26.000 კაცი ჩატალჯუდან მოდის, ხოლო ჩატალჯუში სალონიკიდან და სხვა ადგილებიდან კომიტეტის ახალ-ახალი რაზმები შედის. კომიტეტის ჯარს შეურთდნენ ალბანელები, ბოლგარელი მებრძოლი რაზმები სანდანსკისა, პეცისა და პანიცისა. ბერძნებმა, როგორც სალონიკიდან იუწყებიან, თავი შეიკავეს. კომიტეტის ჯარის უფროსმა დეპეშით აცნობა საელჩოებსა და მისსიებს, რომ ქრისტიანებსა და უცხოელებს არავითარი ხიფათი არ მოელისო. ჯარი სტამბოლში არ შევა, კითხანის სიმაღლებით მოუვლის სატახტო ქალაქს და სულთნის სასახლეს, ილდიზ-კიოსკს მიადგება. ქალაქში მხოლოდ ორი ბატალიონი შევა წესრიგის დასაცველად. ეს გეგმა 6 აპრილს საღამოთი ან ღამე იქნება სისრულეში მოყვანილი.

სტამბოლის ჯარი, რომელმაც კონტრ-რევოლიუცია მოახდინა, სულით დაეცა. სალდათები ფიცსა სდებენ, ყველაფერში აფიცრებს დაემორჩილებითო. კილო შეიცვალეს ახრარიების გაზეთებმა და სამღვდელოებამ. ეხლა ესენი ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის და თავისუფლებისთვის მებრძოლთა ნიაზი-ბეისა და ენვერ-ბეის ქება-დიდებაში არიან. ყველანი ქედს იხრიან ახალგაზრდა ოსმალთა ძლიერების წინაშე.

„ოსმანიშე-ლოიდი" იუწყება, ვითომ ოსმალეთის ახალ მთავრობას (რეაქციის მომხრეს) ნება მიეცეს სახელმწიფოებისთვის, მათი ფლოტი ბოსფორში შევიდეს. რუსის ელჩი გაზეთის საშუალებით უარს ჰყოფს იმ ხმას, ვითომ რუსის ფლოტი მოსულიყოს.

ცოცხალი აღმოჩნდა ყოფილი სამხედრო მინისტრი, რომელიც მოკლული ეგონათ. მან დეპეშით აცნობა პალატას, რომ კონტრ-რევოლიუციის დროს გაქცევა მოვახერხე და ეხლა მზადა ვარ სამშობლოს სამსახურისათვისაო.

მონასტირიდან იუწყებიან: ადგილობრივმა გენერალ-გუბერნატორმა, რომელიც სათავეში დაუდგა ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტს, შესწყვიტა ყოველივე კავშირი ცენტრალურ მთავრობასთან და შეადგინა საბჭო. საბჭოში მიიწვია ყოველ ქრისტიან ერის ორ ორი წარმომადგენელი. სულთანს გენერალ-გუბერნატორმა მუქარის დეპეშა გაუგზავნა—დაუყოვნებლივ დააბრუნე გადაყენებული სამინისტრო და გადააყენე მინისტრ-მოხელენი, რომელნიც ახლად დანიშნეო.

**ვენა**. „კორესპ.-ბიუროს" სოფიიდან დეპეშით ატყობინებენ: როგორც მაკედონიის სხვა და სხვა ადგილიდან და აგრეთვე სალონიკიდან იუწყებიან, ახალგაზრდა ოსმალებს ბოლგარელ მცხოვრებთათვის თოფ-წამალი დაურიგებიათ. ახალგაზდა ოსმალთა რაზმებში შესულა მრავალი ბოლგარელი თავისუფალი მეომარი, ყოფილი რევოლიუციონერი.

**სტამბოლი**. დეპუტატთა პალატა. შუადღისას მოხდა პალატის სხდომა ხალხის დაუსწრებლად. პალატას უნდა გადაეწყვიტა საკითხი იმის შესახებ, თუ რა ურთიერთობა იქონიოს პალატამ ახალ სამინისტროსთან, რომელსაც ხალხმა უნდობლობა გამოუცხადა. პალატა ვერავითარ გადაჭრილ აზრს ვერ დაადგა. მხოლოდ დაადგინა, სთხოვს ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტს, რომელსაც აზრადა აქვს დღეს წარსდგეს პალატის წინაშე, დააყოვნოს პალატაში მისვლა. კამათის დროს აღიძრა საკითხი იმის შესახებ, რომ პალატის სხდომები გადატანილ იქმნას კომიტეტის ჯარის მთავარ სადგომში, რამაც ბევრი ლაპარაკი გამოიწვია. პირველ საათსა და 20 წუთზე სხდომა შესწყდა.

დღეს ჩატალჯუში მოელიან მაჰმუდ-ფაშას. იგი იქნება მთავარ-სარდალი ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის ჯარისა. კონტრ-რევოლიუციამდე მაჰმუდ-ფაშა სტამბოლის კომენდანტად იყო. არეულობის დროს სტამბოლში სახლი გადაუწვეს და თვითონ მისი მოკვლაც განიზრახეს. მაგრამ მაჰმუდ-ფაშამ თავს უშველა და სტამბოლიდან წავიდა.

**ვენა**. „კორესპ.-ბიუროს" სტამბოლიდან დეპეშით ატყობინებენ: ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტმა გაზეთებს ოფიციალური ცნობა დაუგზავნა და შეატყობინა, რომ კომიტეტი მაკედონიაში გადადისო. ამ კომიტეტს არავისთვის არ დაუვალებია, მოაწეროს რასმეს ხელიო. ეს უკანასკნელი შენიშვნა შეეხება იმ მოწოდებაზე ხელის მოწერას, რომელიც გამოსცა ახლად შემდგარმა „ოტტომანთა კავშირმა".

**კილი**. კრეისერებმა „შტეტინ"-მა და „ლიუბეკ"-მა ბრძანება მიიღეს, კუნძულ კორფუსკენ წავიდნენ.

**სტამბოლი**. დეპუტატთა პალატა. კრების განახლებისას წაიკითხეს რამდენიმე ათი დეპეშა. დეპეშების გამომგზავნნი ერთგულებას უცხადებენ კონსტიტუციას და ჰკიცხავენ ახალ სამინისტროს და სულთანს. 3 საათსა და 15 წუთზე კვლავ შესწყდა პალატის სხდომა. პალატა ძალზე იღელვებულია. დეპუტატები სწუხან ორ აპრილის დადგენილების გამო, როდესაც მთავრობამ პალატას ფული მისცა და ამით დაადასტურა კონტრ-რევოლიუცია. დეპუტატები ეხლა ეძებენ გზას ამუხერხულ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად.

ნაშუადღევის 1-ლ საათზე ხელი მოაწერეს ოსმალეთ-ბოლგარეთის შეთანხმების ოქმზედ.

პალატის დახურულ სხდომაზე ლაპარაკი იყო იმის შესახებ, დასთანხმდეს პალატა კაბინეტის გადადგომას, თუ მოისმინოს დეკლარაცია და კაბინეტი დასტოვოს იმ დრომდე, სანამ კრიზისი გადასწყდებოდეს. რადგან შეუძლებელია ეხლა ახალ სამინისტროს შედგენა, დაადგინეს დასტოვონ კაბინეტი, მაგრამ ნდობაკი არ გამოუცხადონ. პალატამ სთხოვა მინისტრებს, დღეს პალატაში არ გამოცხადებულიყვნენ, მაგრამ მოულოდნელად მთელი სამინისტრო პალატაში გამოცხადდა. ხუთ საათზე განახლდა დახურული სხდომა პალატისა. კაბინეტმა რაღაც აცნობა პალატას, მაგრამ საიდუმლოდ ინახავენ. ხუთ საათსა და 20 წუთზე სხდომაზე ხალხი შეუშვეს. ტრიბუნაზე ავიდა დიდი ვეზირი თევფიკ ფაშა. მისმა მდივანმა წაიკითხა დეკლარაცია, რომელშიაც ნათქვამია: ეხლანდელმა სამინისტრომ მართვა-გამგეობის საქმე მიიღო მეტად გაჭირვებულ დროს. სამინისტროს ერთად-ერთი განზრახვა ჰქონდა,—დაეცვა კონსტიტუცია. თავის პროგრამის შემუშავება ვერ მოასწრო, მაგრამ სამინისტროს აზრადა აქვს გაამაგროს შიგნით კონსტიტუციონური რეჟიმი, ხოლო გარედ დაიცვას მშვიდობიანობა. ამ აზრით, მთავრობამ ხელი მოაწერა ბოლგარიასთან დადებულ შეთანხმებას. კაბინეტი სთხოვს პალატას, ნდობა გამოუცხადოს მთავრობას. პალატამ დაადგინა, მთავრობის დეკლარაციის განხილვა 11 აპრილისთვის გადასდოს.

**ვენა**. „ნეიე-ფრეიე-პრესეში" დაბეჭდილია სტამბოლიდან გამოგზავნილი დეპეშა. დეპეშაში ნათქვამია, რომ სულთანი აბდულ-ჰამიდი თანახმაა ტახტიდან გადადგესო. მის მოადგილედ რეშად-ეფენდი იქნება. ამის შესახებ პროკლამაციის შედგენას თვითონ რეშად-ეფენდი დიესწრო.

**ბეირუტი**. აქედან წავიდა ოსმალეთის გემი. გემმა წაიყვანა 100 სალდათი, რომელნიც მერსინაში მიდიან არეულობის ჩასაქრობად.

**ოდესსა**. 5 აპრილს „კოროლევა ოლგას" გემით სტამბოლიდან აქ მოვიდნენ ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის წევრები—„ტანინის" რედაქტორი ჰუსეინ-ჯაჰიდ-ბეი და სალონიკელი დეპუტატი მეჰმედ-ჯევათ-ბეი. ამათ ტანისამოსი გამოცვლილი ჰქონდათ. ამავე დღეს ესენი ბუდაპეშტში წავიდნენ.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 აპრილი

## სპარსეთი

**თავრიზი**. ადგილობრივმა ენჯუმენმა მიმართა ინგლისისა და რუსეთის კონსულებს, ერთად გამოერკვიათ ქალაქის მდგომარეობაო. გამოირკვა რომ არავითარი საშუალება არ არის, რომ უცხოელებმა პური იშოვნონ თავრიზში. ამიტომ ენჯუმენი სთხოვს კონსულებს, მოელაპარაკნენ სპარსეთის მთავრობას რომ ბრძოლა მშვიდობიანად გათავდეს. ამასთან მთავრობამ შემდეგი პირობები უნდა მიიღოს: ბასმინჯისკენ მიმავალი გზა უნდა განთავისუფლდეს, რომ ქალაქს შეეძლოს მიეცეს პური მიიტანოს. მთავრობამ ნება უნდა დართოს, რომ ყოველ დღე თავრიზში 3500 ფუთი ფქვილი ან ხორბალი შეიტანონ; ენჯუმენი გარანტიას მისცემს მთავრობას, რომ პური მცხოვრებლებს დაურიგდებათ და არა ფიდაებს. გაიხსნება თუ არა გზა, ენჯუმენი მთავრობასთან მოსალაპარაკებლად წარმომადგენლებს აირჩევს მოელაპარაკება სხვა ქალაქებსაც, მაგალითად რეშტსა და ისპაჰანს, რომ ბრძოლა მშვიდობიანად დამთავრდეს. ენჯუმენი აცხადებს, რომ ადერბეიჯანის მცხოვრებლები შაჰის წინააღმდეგ არ მიდიან. მათ მარტო კონსტიტუციის აღდგენა სურთ.

თავრიზში, მართლაც ძალიან ცუდა სურსათია. ამიტომ შესაძლებელია ხალხი აღელდეს. თუ აღელვება მოხდა, სომხებს და ევრაელებს ცუდი დღე მოელის.

## ბალკანეთი.

**პეტერბურგი**. დილის 11 საათზე გარეშე საქმეთა მინისტრმა იზვოლსკიმ და ბოლგარიის მთავრობის წარმომადგენლებმა პაპრიკოვმა და სტანჩოვმა ხელი მოაწერეს რუსეთ-ბოლგარიის შეთანხმების განაჩენს. შეთანხმება ეხება იმ ფულს, რომელიც ბოლგარიამ ოსმალეთს უნდა გადაუხადოს. განაჩენს საბოლოოდ ორივე სახელმწიფოს მთავრობები დაამტკიცებენ.

**ვენა**. 5 აპრილს, ვენის ქალაქის თვითმმართველობის ინიციატივით, შენბრუნში შეკრებილა ხალხი მრავალი. კრებაზე შეიგნეს ... იმპერატორის მშვიდობიანობის შენარჩუნებისთვის მადლობა გამოეცხადებინათ. ქალაქის თავმა თავის სიტყვაში სთქვა, რომ მთელი ავსტრიის ხალხი მზადაა დაიცვას თავისი სამშობლო და მადლობა გადუხადა იმპერატორს მშვიდობიანობის დაცვისთვის. იმპერატორმა, სხვათა შორის, სთქვა: „სახიფათო დრო აღარ არის. მე ვიმედობ, კმაყოფილი ვარ, რომ ავსტრიის ხალხის თავგამოდებამ და ჩემმა მამაცმა ჯარმა შეძლება მომცეს მშვიდობიანობა დამეცვა. რაც გინდა სამართლიანი იყოს ომი, მას დიდი მსხვერპლი სჭირია. ჩვენ მშვიდობიანობაც დავიცავით და სახელიც". ამის შემდეგ მომღერლებმა შეასრულეს პატრიოტული სიმღერები. 70 ათასი კაცი იმპერატორს „მახის" ყვირილით მიესალმა. დღესასწაული უინციდენტოდ გათავდა.

## საზღვარ-გარეთ.

**ბერლინი**: 5 აპრილს დაიწყო მთელ იმპერიის მოხელეთა კრება. კრებაში 8000 მოხელე იღებს მონაწილეობას. რადგან ამდენა ხალხის ერთად მოთავსება შეუძლებელი იყო, ამიტომ კრება ორ ადგილს გაიმართა. ორივე კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, სადაც მოხელენი იმპერიის და მთავარ შირე მთავრობებს და პარლამენტებს სთხოვენ, რაც შეიძლება ჩქარა მოუმატონ ჯამაგირები, რაც უკვე განზრახულიათ. რეიხსტაგს მოხელენი სთხოვენ, რაც შეიძლება კარგად დაამთავრონ განზრახული საფინანსო რეფორმებით. მოხელენი, ნათქვამია რეზოლიუციაში, იძულებულნი არიან ითხოვონ ეს, რადგან მოხელეთა გაჭირვებული მდგომარეობა უკიდურესობამდი მივიდა. თუმცა დარწმუნებულნი ვართ, რომ ჯამაგირის მომატება სრულებითაც ვერ გვიხსნის გაჭირვებისაგან, მაგრამ ამაზე მეტის მოთხოვნა არ შეგვიძლიან, რადგან გვესმის, რომ იმპერიის ფინანსიური მდგომარეობა მამულიშვილებისაგან მსხვერპლს თხოულობს.

**კოპენჰაგენი**. ფოლკეტინგში სახელმწიფოს დაცვის კანონ-პროექტის გამო კამათის დროს, სახელმწიფოს დაცვის მინისტრმა სთქვა: მთავრობა უსათუოდ მოითხოვს ფულს კოპენჰაგენის გასამაგრებლად. იმ შემთხვევაში თუ მთავრობა იმ ფულს არ მიიღებს მაშინ მთავრობა გადადგება. თუ ამ კანონ-პროექტს ხალხს გადავცემთ და ხალხიც არ მოგვცემს ფულს, მთავრობა ...

# ფელეტონი

## საფრანგეთის აწინდელი მდგომარეობა

(გაზეთებიდან)

კომმუნის შემდეგ საფრანგეთში არასოდეს ისე არ გამწვავებულა მუშათა საკითხი, როგორც ეხლა. ძლივს გათავდა ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვა. ამ გაფიცვით გამოწვეული აღელვება ჯერაც არ დამცხრალა და უკვე გაისმის ხმები „აჯანყებაზე", „ჟაკერიაზე" უაზის დეპარტამენტში. საზოგადოება შეშფოთებულია მატყლის მწეწავ მუშების ბრძოლით მაზამეში. ფრანგებს ამ ჟამად მუშათა საკითხის გარდა აღარა აინტერესებთ რა. დეპუტატთა პალატაში ირჩევენ ელირსა იმისთანა მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის მოსპობა სამხედრო სასამართლოებისა, რაც ჯარის-კაცებსა და მოქალაქეებს უფლებებით ათანასწორებს, მაგრამ პარლამენტის დარბაზი თითქმის ცარიელი იყო.

საზოგადო ყურადღება მიქცეულია პარლამენტის გარეშე საქმეებზე: აქ აღინიშნა მცხოვრებთა მომეტებულ ნაწილის წინ წაწევა და სოციალურ ევოლიუციის დიად საკითხთა წინ დაყენება არა თუ პოლიტიკურ პარტიებისთვის, არამედ მთავრობისთვისაც. ამისი დამამტკიცებელია სიტყვა იუსტიციის მინისტრის ბრიანისა, რომელიც გამოვიდა „სოციალიზაციის" თავისებურ პროგრამმით და თავის გამბედაობით მომენტის გმირად გადაიქცა საფრანგეთში.

აწინდელ მომენტის კარგი დამახასიათებულია ის, რომ ქალაქ პარიზის თვით მართველობის სათავეში დადგა სოციალისტი შოსსი, კომმუნარი, ყოფილი წევრი საფრანგეთის შეერთებულ სოციალისტურ პარტიისა. ძველი პრეზიდენტი მუნიციპალურ საბჭოსი ნაციონალისტი იყო. ეხლა ქალაქის გამგეობაში აღარ არის აღარც ერთი რეაქციონერი: რადიკალები და დამოუკიდებელი სოციალისტები შეერთდნენ სოციალისტებთან იმის დაუხედავად, რომ რამდენიმე რადიკალი, შეურიგებელი ანტიკოლექტივისტი გამოვიდა ამის გამო თავის ჯგუფიდან.

საინტერესოა, როგორ დაიწყო გაფიცვა მაზამეში. ორი ათასი გაფიცული მუშა ეკუთვნის საფრანგეთის დემოკრატიის იმ ჩამორჩენილ ნაწილებს, რომელნიც აქამდის კლერიკალიზმის სულით არიან გამსჭვალულნი. ამ ოლქის დეპუტატი ბარონი რეილი კლერიკალურ პარტიას ეკუთვნის. ადგილობრივი მწარმოებელნი კი, როგორც განათლებულ ბურჟუაზიას შეეფერება, არიან რესპუბლიკელები, რადიკალები და თავისუფალი მოაზრენი. როგორც გამოირკვა, გაფიცვისთვის მუშებს აქეზებდა ბარონი რეილი, რომელმაც აგიტატორობა იკისრა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან, კაპიტალისტებთან საბრძოლველად. რასაკვირველია, დაიწყო თუ არა ბრძოლა, ეს თავისებური წამქეზებელი შეჰკრთა და ბრძოლას ველზე გაჰგზავნა ადგილობრივი ეპისკოპოსი, რომელიც „მამაშვილურად" სთხოვდა გაფიცულთ, დაწყნარებულიყვნენ და მოთმინებით, სიწყნარით და სიმშვიდით აღჭურვილიყვნენ. მაგრამ კლერიკალმა მუშებმა, რომელნიც ეპისკოპოსმა მიტინგზე მიიწვია, თავიანთ კითხვებით საწყალი მღვდელმთავარი ისეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენეს, რომ იგი იძულებული გახდა, ეკლესიის პრესტიჟის დასაცავად, გაფიცვის კომიტეტის კასსაში შეეტანა 500 ფრანკი და საჩქაროდ დაეტოვებინა მაზამე. მუშებმა კი მიმართეს საშველად შრომის საერთო კონფედერაციას, რომელმაც მაშინვე გაჰგზავნა თავისი წარმომადგენელნი გაფიცვის მოსაწყობად: გამართეს „კომმუნისტური სადილები" (ასეთი სადილები ეხლა საფრანგეთში ყოველ ხანგრძლივ გაფიცვის დროს იმართება) და მიმართეს „ბავშვების გამოსვლას". „ბავშვების გამოსვლა" იმაში მდგომარეობს, რომ გაფიცულთა ბავშვები მიდიან ახლო მახლო ადგილებში და იქ გაფიცვის გათავებამდე სხვა მუშების ოჯახებში რჩებიან, რაც ასე უწყობს ხელს ერთობისა და სოლიდარობის განვითარებას მუშებში. ასე დამთავრდა კლერიკალურ ბარონის მიერ დაწყებული „აღზრდა მუშებისა".

ასე მშვიდად არ მიდის გაფიცვა უაზის დეპარტამენტში, სადაც გაფიცულია 12,000 მუშა. აქ გაფიცვა გამოიწვია სამუშაო ქირის დაკლებამ. ეს ქირა ფაბრიკანტებმა ამ ათი წლის განმავლობაში 40 პროცენტით დასწიეს. მუშაობის შეწყვეტამ აქ სოციალური ხასიათი მიიღო. შესანიშნავია, რომ აქაც წამქეზებელნი მაღლიდან იყვნენ: ამ ჯერად აგიტატორებად გამოვიდნენ მსხვილი ფაბრიკანტები. ამათი მიზანი იყო, წვრილ მესაკუთრეთა მოსპობა მსხვილების სასარგებლოდ. ამ მსხვილმა ფაბრიკანტებმა უკვე შეადგინეს ტრესტი. დაიწყო თუ არა გაფიცვა, მსხვილმა ფაბრიკანტებმა მიმართეს დასაცველად მთავრობას. მიზეზად ვილაცის სახლში ჩამტვრეული შუშები მოიდეს და, მუშების პროტესტის მიუხედავად, ხელად ჟანდარმები გაჩნდნენ. ამით გულ-მოცემული ფაბრიკანტები უდიეროდ ექცეოდნენ გაფიცულთ. ერთმა ფაბრიკანტმა ქუჩაში გაარტყა ორსულ მუშა-ქალს და ეს ფაქტი საკმაო იყო, რომ გაფიცულთ მოქმედება დაეწყოთ. დაანგრიეს გალავანი და აიკლეს ქვედა სართული ერთ თავიანთ მოწინააღმდეგის სახლისა. ეს ვაჟბატონი ყველაზე ძალიან ეჯავრებოდათ. ერთი მუშის დაპატიმრებამ ნამდვილი ბრძოლა გამოიწვია. ჟანდარმებმა ვერ გაუძლეს ქვებითა და ჯოხებით შეიარაღებულ ხალხს, დასტოვეს დაპატიმრებული და გაიქცნენ. შეტაკების დროს დაიჭრა რამდენიმე მუშა.

მუშათა ამგვარის მოძრაობით ისარგებლა მინისტრმა ბრიანმა და სიტყვა წარმოსთქვა. ეს სიტყვა მან დაამზადა ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვის შთაბეჭდილების ქვეშ. მინისტრის აზრით, დადგა დრო, როდესაც რესპუბლიკამ უნდა განახორციელოს ეკონომიურ თანასწორობის იდეალები, როცა დემოკრატიის პოლიტიკურ უფლებებს უნდა დაემატოს უსაჭიროესი უფლება—საკუთრების უფლება ყველა მშრომელისა წარმოების საშუალებებზე.

ბრიანმა თავისი აზრები შემოსა მინისტრისთვის შესაფერ ფორმაში და სთქვა, რომ აღელვებულ მუშათა კლასის დასამშვიდებელი საშუალება მუშებისთვის მწარმოებლებთან ერთად ქარხნებსა და ფაბრიკებზე საერთო საკუთრების მიცემააო.

ამგვარად, საქმე აქ, საფრანგეთის რესპუბლიკაში, საწარმოებელ იარაღისა და სამრეწველო კაპიტალის სოციალიზაციაში ყოფილა და ამ საქმეს იწყობს, ამაზედ ლაპარაკობს რესპუბლიკის მთავრობა ყოფილ ანარქი-სოციალისტის, ახლა იუსტიციის მინისტრის ა. ბრიანის პირით.

„დადგა რესპუბლიკისთვის კრიტიკული და საძნელო ხანა,—განაცხადა ბრიანმა ერთს პოლიტიკურ მიტინგზე ნორმანდიაში, — აქამდის რესპუბლიკა მხოლოდ აწესრიგებდა პიროვნებათა დამოკიდებულებას, განამტკიცებდა თავისუფლებისა, ძმობისა და თანასწორობის პრინციპებს. აქამდის საქმე მდგომარეობდა მოქალაქეთა ერთმანეთთან დამოკიდებულებაში, ეხლა კი ჯერი მიდგა მოქალაქეთა და სიმდიდრის ერთმანეთთან დამოკიდებულებაზე. ჩვენს წინ სოციალური საკითხია და ის აქუნ და გამოიჩინოს თავი რესპუბლიკამ. ხალხი მარტო ეკონომიურ მონობიდან კი არ უნდა განთავისუფლდეს, მას შეძლებაც უნდა ჰქონდეს ადვილად და კანონიერად მიაღწიოს მფლობელობას. მხოლოდ ესა ჰხდის კაცს ნამდვილ დამოუკიდებელ ადამიანად.

გახშირდა საშიში, ქვეყნის ამაღელვებელი ამბები; მრავლდებიან და იზრდებიან ასსოციაციები და სინდიკატები, ხშირდება ყველგან გაფიცვა. მომავლის საუკეთესო ქვეყანა ის იქნება, რომელიც გაიგებს ცხოვრების ამ ევოლიუციას, რომელიც უფრო დიდს ნაბიჯს გადასდგამს პროგრესსის გზაზე, რომელიც აღმოჩნდება უფრო ჰუმანიური, დამშვიდებითა და გულდასმით მოჰკიდებს ხელს ამ საკითხს და გადასწყვეტს მას სოციალურ თავისუფლებისა და სიმართლის სასარგებლოდ".

მინისტრი ბრიანი ჰხედავს ერთადერთ ხსნას იმაში, რომ სინდიკატები შეიყვანონ სამრეწველო წარმოებათა მფლობელობაში და მათს მართვა-გამგეობაში. ამ გვარად ბრიანის აზრით „მფლობელობის უფლება" უნდა გადაეცეს სინდიკატებს და არა კერძო მუშებს, რადგან ამ უკანასკნელ შემთხვევას შეიძლება პროლეტარიატის დეზორგანიზაცია მოჰყვესო.

რადიკალური პრესსა გაბედულ მინისტრის ამ აზრს ტაშის ცემით მიეგება. ჟორესმაც, რომელიც საზოგადოდ არა ზოგავს მინისტრის სავარძელში მჯდარ თავის ყოფილ მეგობრებს, ბრიანის სიტყვა შესანიშნავად მიიჩნია და სთქვა, რომ თუ მთავრობა ამისთანა ნაბიჯსა სდგამს, ჩვენ არ უნდა შევაქციოთ ზურგი, არამედ უნდა ვისარგებლოთ ამითიო.

**გ. ნამორაძე.**

რობა აქედან შესაფერ დასკვნას გამოიყვანსო.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** გაიხსნა სლავიანთა მოღვაწეების კრება. შეიკრიბა 100 კაცზე მეტი. არიან კრებაზე სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს წევრები. კრება გახსნა სახელმწიფო საბჭოს წევრმა, სლავიანთა საზოგადოების თავმჯდომარემ ნარიშკინმა, რომელმაც კრებას სიტყვით მიმართა და სთქვა, რომ სლავიანობის იდეია არას დროს არ გაჰქრება რუსის ხალხში. დღეს, ამ მეტად მძიმე მომენტის დროს, როდესაც ჩვენი სამშობლო ასეთ კრიზის გმნიცდისო, საჭიროა, ჩვენმა საზოგადო მოღვაწეებმა კარგად გაითვალისწინონ ის მდგომარეობა, რომელიც უნდა დაიჭიროს რუსეთმა პატარა ეროვნებათა მოსალოდნელ ბრძოლის დროს. კრება გაიყო ხუთ სექციად.

**ვარშავა.** გამოარკვიეს, რომ რომში მოკლული უცნობი პოლონელი ყოფილა წევრი პოლონეთის სოციალისტური პარტიისა, ედმუნდ ტარანტოვიჩი რომელმაც გასცა რამდენიმე ამხანაგი და მერე ისევ პარტიაში შევიდა.

**მოსკოვი.** საფაბრიკო ექიმების კრებამ მუშაობა შესწყვიტა, რადგანაც ადმინისტრაციის მოთხოვნილება მიიღო, კამათის დროს პროგრამას არ გადასცდეთო.

**დონის როსტოვი.** ღამე ორი ყაზახი შეიჭრა საბაკალეო სავაჭროში და მოჰკლა სავაჭროს პატრონი. პოლიცია რომ დაედევნა, მათ წინააღმდეგობა აღმოუჩინეს. სროლის დროს ერთი ყაზახი მოჰკლეს, ერთიც დაიმალა, მაგრამ მისი ვინაობა გაიგეს.

**პეტერბურგი.** სატყეო დეპარტამენტმა დაამტკიცა სრულიად რუსეთის ტყის მფლობელთა მეთერმეტე კრების დებულების პროექტი. კრება მოხდება აგვისტოში, ქალაქ ტულაში. დაამტკიცეს აგრეთვე კრების პროგრამის პროექტები.

**ხვალიდან ჩვენს გაზეთში, ფელეტონებად დაიბეჭდება ისტორიული ორიგინალური დრამა ვასილ ყიფიანისა „სამეგრელოს მთავარი ლევან“.**

## ახალი ამბავი

### ტფილისი

**✦ ბენეფისი ვასილ აბაშიძისა.** დღეისთვის ქართულ თეატრში დანიშნულია ბენეფისი ნიჭიერ და დამსახურებულ არტისტის ვასილ აბაშიძისა. დღევანდელ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებს მთელი ქართული დასი და აგრეთვე საოპერო ორკესტრი პ. ფალიაშვილის ლოტბარობით. წარმოდგენილ იქნება სამი პიესა: „შერცხვენილი ქმარი“, მოლიერის კომისია და ორი ოპერეტტა—„ქორწილის წინ“ და „მეჯლისი იტალიელებთან“. ორივე ოპერეტტა ვასილ აბაშიძის თარგმნილია.

**✦ პოლიტიკური საქმე.** დღეს სამხედრო სასამართლო შეუდგება პოლიტიკურ საქმის განხილვას, რომლითაც სამართალში მიცემულია: თავადის ასული ნინო მაჩაბელი, ნინო მახვილაძე, ალექსანდრა ბაქრაძე-მახვილაძისა, გრიგოლ ხირსელი, ვლადიმერ ბუზსონოვი, ჯარისკაცი ენოხ კურლიანდი, ვასილ ნემუდრი, ივანე პასიური, ილია ნუცუბიძე, უოსეკ შმულევიჩ-გრეიცერი, ვასილ არხაროვი, ვერა სვეტლოვა, ვერა მახვილაძე, ვლადიმერ ცარიუკოვი, მარიამ უგრელიძე, კონსტანტინე კლარჯევი და გადამწერალი დენისენკო. ყველა ამათ ჰბრალდებათ ის, რომ 1906 წელს შეადგინეს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის სრულიად რუსეთის სამხედრო კავშირის ტფილისის გარნიზონის საბჭო და განყოფილებანი სარაყამიშსა და სხვაგან. ამ ორგანიზაციათა მიზანი იყო რუსეთის პოლიტიკურ წესწყობილების შეცვლა შეიარაღებულ აჯანყების საშუალებით და დემოკრატიულ რესპუბლიკის დაარსება.

**✦ სახალხო უნივერსიტეტი.** 6 აპრილს მოხდა სხდომა ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისა. გამგეობამ უფლება მიიღო, 26 აპრილს, გოგოლის ძეგლის კურთხევის დღეს მოსკოვში, მოაწყოს ლექციები ადგილობრივ ენებზე. გამგეობას თათბირი ჰქონდა იმაზე, თუ ვის დაავალოს ლექციების წაკითხვა. დაადგინა, ქართულად ლექციის წაკითხვა სთხოვოს პ. გელეიშვილს, ხოლო სომხურად—ზაქარიანცს. ამავე დღეს გაიმართება სალიტერატურო დილა და წაიკითხავენ სცენებს ნ. გოგოლის ნაწერებიდან. როგორც თავმჯდომარის მოხსენებიდან გამოირკვა, სახალხო უნივერსიტეტი დიდს გაჭირვებაშია თურმე უსახსრობით. საზოგადოების კასსაში ამ ჟამად ფული იმდენია, რომ ორს თვეს ეყოფა მხოლოდ საზოგადოესკოლების შენახვას. შემდეგ კი საზოგადოებას აღარაფერი ექნება, თუ ეხლავე არ შეუდგა ზრუნვას. სთქვეს, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საწევრო ფულის მოგროვებასაო. საწევრო ფული ძალიან ცოტა შედის თურმე. სთქვეს აგრეთვე, რომ გამგეობამ მოაწყოს სეირნობა, წარმოდგენები და სხვა.

**✦ წერა-კითხვის საზოგადოება.** წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ განიხილა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს თხოვნა, მიეცეს მას 600 მანეთი გუჯრების გამოსაცემად. გამგეობამ დაადგინა, მიეცეს ხსენებულ საზოგადოებას ფული წ.-კ. საზოგადოების ძველ წიგნებს გამოსაცემ თანხიდან იმ პირობით, რომ გამოცემული წიგნები, 30%-ის გამოკლებით, წ.-კ. საზოგადოებას გადასცეს. ამავე სხდომაზედ გამგეობამ განიხილა მოხსენება ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებისა. ამ საზოგადოების გამგეობამ ითხოვა, მას გადაეცეს სალიტერატურო ფონდი. წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, ეს საკითხი განსახილველად გადასცეს გამგეობის საადმინისტრაციო სექციას.

**✦ ქრისტეფორე მამაცაშვილის გარდაცვალება.** ტფილისში გარდაიცვალა ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის ყოფილი დირექტორი გენ. ქრისტეფორე მამაცაშვილი.

**✦ მუშაობის შემცირება.** რკინის გზის მთავარ-სახელოსნოში სახელოსნოს უფროსის შემდეგი განცხადებაა გაკრული: „სამუშაოს სიცოტავის გამო მომავალ კვირიდან მუშაობა შემდეგის წესით იქნება: სამჭედლო ცეხში—მჩარხავები, რკინის გადამდუღებლები, რკინის დამჭრელები და რკინის დამხვრეტი მაშინისტები იმუშავებენ კვირაში სამ დღეს, სახელდობრ—ხუთშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით. სამჭედურში მუშაობა კვირაში 4 დღეს იქნება—ოთხშაბათიდან; ჩამომსხმელთა ცეხში სამ დღეს—ხუთშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; ვაგონის ცეხში კი ხელოსნები, „ობოიშჩიკები“ და სხვა პროფესიის მუშები იმუშავებენ ჩემ მიერ ნაჩვენებ დღეებში, რასაც ვაცნობებ ვაგონის ხელოსანს. ხელოსანი კი ვალდებულია აცნობოს დანარჩენ ხელოსნებს“. ორშაბათიდან დაიწყო მუშაობა ახალის წესით. (ჩ. ს.)

**✦ სირაჯის მამულოვის მოკვლა.** როგორც გაზეთებს ატყობინებენ, ბაკურციხეში მოუკლავთ ტფ. მეორე გილდის ვაჭარი სირაჯი იოსებ მამულოვი.

**✦ საალყო წესების მოხსნა.** ბათუმში, ადგილობრივ გაზეთის სიტყვით, საალყო წესები მოუხსნიათ.

**✦ ქუთაისის გუბერნატორი.** როგორც „ტ. ლ.“-ს ატყობინებენ, ყოველ სიმართლეს მოკლებულია ქუთაისში გავრცელებული ხმები გუბერნატორის სლავოჩინსკის სამსახურიდან გადადგომის შესახებ.

**✦ ქალთა უმაღლესი კურსები.** როგორც ვწერდით, ტფილისში არსდება ქალთა უმაღლესი კურსები. კურსებზე ორი განყოფილება იქნება—საბუნების-მეტყველო და საისტორიო-სიტყვიერებისა. თხოვნების მიღება უკვე დაიწყო. კანცელარია მოთავსებულია გრიბოედოვის ქუჩაზე, № 22.

**✦ ახალი კლუბი.** მკითხველებს ეხსომებათ, რომ შარშან ქართველ ინტელიგენციის ერთმა წრემ განიზრახა ახალ კლუბის დაარსება. შარშან რამდენჯერმე კრებაც მოხდა. შეიმუშავეს ახალ კლუბის წესდება, რომელიც მთავრობამ დაამტკიცა, და უნდოდათ საქმის განხორციელება, მაგრამ განზრახვა, სხვა და სხვა მიზეზისა გამო, სისრულეში ვერ მოიყვანეს. საქმის ინიციატორები აპირობენ, კვლავ განაახლონ მუშაობა და შეეცადნენ კლუბის დაარსებას. აზრადა აქვთ მოიწვიონ დამფუძნებელი კრება.

**✦ საზაფხულო თეატრი.** ქართულ თეატრის საზაფხულო განყოფილების აგების საქმე წინ მიდის. ბუფეტის შენობა თითქმის დამთავრდა. იმედი აქვთ, საზაფხულო თეატრი მაისის შუა რიცხვებისთვის მზად იქნება. საბაღე ადგილი უკვე გასწმინდეს და მცოდნე მებაღის ხელმძღვანელობით შეუდგნენ ბაღის მოწყობას.

**✦ ტფ. ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა 6 აპრილს ალ. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით მოხდა. განსახილველი იყო 11 საქმე და ყველას განხილვა მოასწრეს. ზოგი საქმე საზოგადო ინტერესს არ არის მოკლებული. საბჭომ, სხვათა შორის, განიხილა პროექტი წესდებისა ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლში ბიბლიოთეკა-სამკითხველოსი. ქალაქის გამგეობაში აღნიშნულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მართვა-გამგეობის შესახებ ორი აზრი გამოთქმულა: ერთი ნაწილი გამგეობისა საჭიროდ სცნობდა, ეს საქმე განეგო გამგეობას, მეორე ნაწილი—სახალხო სახლის მმართველ კომისიას. საბჭოში გამგეობის წევრმა ა. ხატისოვმა განაცხადა, კომისიას დღემდე თავი ვერ მოუყრია და ფაქტიურად სახლის გამგეობას არ შესდგომიაო. ქალაქის გამგეობამ, მაგალითად, ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ხუთჯერ მაინც სთხოვა, თავისი წარმომადგენელი დაესახელებინა კომისიაში, მაგრამ დღემდე პასუხიც არ გვაღირსესო. ვაი თუ ასეთმა დაუდევრობამ შემდეგაც იჩინოს თავი და ამიტომ საჭიროდ ვცანით ბიბლიოთეკა-სამკითხველოს საქმე ქალაქს გადაეცესო. საბჭომ დაადგინა, რომ სამკითხველო-ბიბლიოთეკას საქმე კომისიას ჩაჰბარდეს. ქალაქის საქმეთა საკრებულოს ამა წლის ქალაქის აღრიცხვა დაუმტკიცებია, ხოლო ის 3000 მანეთი, რომელიც საბჭოს დადგენილებით, ქალაქის გამგეობის წევრთ ფეხის ქირად უნდა მისცემოდათ, საკრებულოს საჭიროდ დაუნახავს მომხმარდეს „სისკნოე“ განყოფილების საქმეებს. საბჭომ დაადგინა, საკრებულოს ესეთი დადგენილება განასაჩივროს სენატში. ყოფილმა ხმოსანმა აწ განსვენებულ ი. ა. თაიროვმა სტიპენდიისათვის ქალაქს 2500 მან. დაუტოვა, მაგრამ მემკვიდრეებს აქამდე გამგეობისათვის ეს ფული არ გადაუციათ. საბჭომ დაადგინა, დაეცადოს ამა წლის დამლევამდე და თუ არ მიიღო ფული, საჩივარი აღძრას.

**✦ შეცდომის გასწორება.** „დროების“ მე-67 ნომერში, სადაც მოთავსებულია ეგნატე ნინოშვილის ძეგლის ასაგებად ფულის შემომწირველთა სია, შემდეგი კორექტული შეცდომაა.

| დაბეჭდილია: | უნდა იყოს: |
| --- | --- |
| უჯარმა | უჯარა. |
| კაკნავა | კანკავა |
| ჭიღაია | ჭილაია |
| შაბუხადია | ბაბახადია |
| ნიკა | ნიკო |
| ბერიტოვა | ბერიტოვი... |
| კანკილავა | კანკავა. |

**✦** დღეისთვის დანიშნულია სხდომა კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი. სხვათა შორის საბჭო განიხილავს სარევიზიო კომისიის მოხსენებას ტფ. საბაღოსნო სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ.

**✦** ტფ. გენერალ-გუბერნატორის დადგენილებით სამი თვით დაპატიმრება მიესაჯა ივანე ჭელიძეს სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის.

## ოსმალეთი

**კონტრ-რევოლიუციის წინა დღეებში, ახალგაზდა ოსმალები და ახრარიები**

როგორც უკვე ვიცით, პირველად აშკარა ბრძოლა ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის წინააღმდეგ დაიწყეს ახრარიებმა, ანუ ლიბერალებმა. უმთავრესი პრინციპიალური განსხვავება ამ ორ პოლიტიკურ ჯგუფს შორის ისაა, რომ ახალგაზდა ოსმალებს უნდათ ცენტრალისტურ კონსტიტუციონურ წესწყობილების დამყარება, ხოლო ლიბერალთა კავშირი, ანუ ახრარიები, თხოულობენ ოსმალეთის განახლებას ფედერაციის საფუძველზე. ახალგაზდა ოსმალები ჰფიქრობენ, რომ თუ ყველა ერს ოსმალეთში სრული თანასწორობა და ფართო პოლიტიკური თავისუფლება მიეცემა, მაშინ აღარც თითონ ეს ერები მოითხოვენ ავტონომიას, ჯერ-ჯერობით მაინც, სანამ ახალი წყობილება არ გამაგრდება ოსმალეთშიო. ხოლო ახრარიების კავშირი, რომლის უმთავრეს მეთაურად ითვლება ცნობილი პრინცი საბახ-ედინი, ამტკიცებს, რომ სხვა და სხვა ერს ეხლავე უნდა მიეცეს ფართო ავტონომია, თორემ უამისოდ ოსმალეთს არსებობა გაუჭირდებაო.

ივლისის რევოლიუცია ოსმალეთში მოახდინა ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტმა—„ერთობა და პროგრესი“,—რომელმაც შემდეგ მთელი ძალა ფაქტიურად თავის ხელში ჩაიგდო. პარლამენტში ახალგაზდა ოსმალებს დიდი უმეტესობა ჰყავთ. პარლამენტი გაიყო სამ ჯგუფად. მათგან ყველაზე ძლიერი ჯგუფი იყო „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტის ჯგუფი, რომელშიაც შედიოდა 164 დეპუტატი, 130 ოსმალო, 15 ალბანელი, 5 არაბი, 1 ბერძენი, 1 სომეხი, 4 ბოლგარი, 3 სერბი, 1 კუცოვალახი და 4 ურია. ლიბერალების, ანუ ახრარიების ჯგუფს ჰყავდა 45 დეპუტატი: 22 ბერძენი, 12 ალბანელი, 6 ოსმალო და 5 სომეხი. მესამე ჯგუფი შესდგებოდა 57 დამოუკიდებელ დეპუტატისაგან; მათ შორის 52 არაბი იყო, 4 სომეხი და 1 ოსმალო. აქედან სჩანს, რომ ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტს გაცილებით მეტი მომხრე დეპუტატი ჰყავდა, ვიდრე ახრარიებსა და დამოუკიდებელ ჯგუფებს.

ახალგაზდა ოსმალებსა და ახრარიებს შორის პარლამენტის შეკრების უმალ დაიწყო ბრძოლა, რომელიც თან და თან მწვავდებოდა.

**ბრძოლა ახალგაზდა ოსმალებსა და ახრარიებს შორის.**

ახალგაზდა ოსმალებისა და ახრარიების ბრძოლაზე საინტერესო ცნობებს იძლევა „რუსკ. ვედომოსტი“-ს სტამბოლელი კორესპონდენტი, რომელიც სწერს:

„ამას წინად ზოგიერთ ევროპიულ გაზეთში დაიბეჭდა სტამბოლელ კორესპონდენტების დეპეშები ახალგაზდა ოსმალთა შოვინიზმსა და წრეს გადასულ პატრიოტიზმზე. აი რა მიზეზით დასწამეს ახალგაზრდა ოსმალებს შოვინიზმი. მათმა მომხრეებმა გამართეს მიტინგი და მოითხოვეს ზოგიერთ გაზეთის აღაგმვა, რადგან ეს გაზეთები, რომლებსაც უცხოელები უწევენ ხელმძღვანელობას, მტრობას სთესენ ოსმალეთის სხვა და სხვა ერებს შორისო. მიტინგმა დაადგინა რეზოლიუცია: ვთხოვოთ დეპუტატთა პალატას, ეს გაზეთები აღაგმოს, მათი გამომცემლები და უცხოელი რედაქტორები, რომლებიც ასე ბოროტად სარგებლობენ ჩვენის სტუმართ-მოყვარეობით, განდევნოს ოსმალეთიდანაო.

დიდმა ვეზირმა მიტინგის რეზოლიუციის მიღების უმალ, ქაღალდი მისწერა დეპუტატთა პალატას, რომელსაც გაუგზავნა აგრეთვე წერილები ორი ბერძნულისა და ერთი ინგლის-ფრანგულ გაზეთისა და თან გამოუცხადა, რომ არავითარ ღონისძიების მიღება არ შემიძლიან მავნებელ გაზეთების წინააღმდეგ, რადგან ძველი კანონი პრესის შესახებ ეწინააღმდეგება კონსტიტუციონალურ თავისუფლებას და მისი მოხმარება შეუძლებელიაო, ხოლო ახალი კანონი ჯერ არ განუხილავს პალატასაო.

ხანგრძლივ და შფოთიან კამათის შემდეგ პალატამ წინადადება მისცა დიდ ვეზირს, ძველი კანონით მიეცით სამართალში ხსენებული ორი ბერძნული გაზეთი.

რასაკვირველია, ამის გამო ვისაც კი სურვილი აქვს, შეუძლიან უყვიროლოს მორთოს, რომ ახალგაზდა ოსმალები შოვინისტები არიან და კონსტიტუციას თითონვე არღვევენო, მაგრამ დაკვირვებული და პირუთვნელი მეთვალყურე ცხადად ჰხედავს, რომ ამისი მიზეზი სულაც არაა ახალგაზდა ოსმალთა შოვინიზმი და არც თუ მარჯვნივ მიუწევიათ მათ. მიზეზი უფრო რთული და ტრაგიკულია ოსმალეთის იმპერიის დიდი განსაცდელი მოელის.

კონსტიტუციის დაწესების შემდეგ ოსმალეთის ნაირ-ნაირ ერებს შეძლება მიეცათ თავის ძალა მოეკრიბათ და რიგზე მოეწყოთ, ამ პატარა ერების ინტერესების დაცვა და მოსარჩლეობა იკისრა ლიბერალთა, ანუ ახრარიების კავშირმა; იგი მტკიცე კონსტიტუციონური პარტია არის, დაუღალავად აბრალებს ახალგაზდა ოსმალებს კონსტიტუციის დარღვევას, ვიწრო ნაციონალიზმს, შოვინიზმს, დიქტატორობას, მეგობრობას სასახლესთან და თვით წინანდელ რწმენის ღალატსაც კი. პარლამენტში, სადაც ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტს უმეტესობა ჰყავს, ახრარიების იერიში კომიტეტზე ქიამილ-ფაშის დაცემიდან დაწყებული (ახრარიები ქიამილ-ფაშის მხარეს იყვნენ) მარცხით გათავდა. მაგრამ ახრარიები გულს არ იტეხდნენ.

—ეს რა დამარცხებაა? ჩვენ ეხლა ვიწყებთ ბრძოლას!—მითხრა ამ პარტიის ერთმა მეთაურმა ქიამილფაშის დაცემის შემდეგ.

მართლაც-და მას შემდეგ ახრარიებმა მეტად მხნედ მოქმედებნენ, ორგანიზაცია შექმნეს და რიცხვით გამრავლდნენ. მათ გაძლიერების დამამტკიცებელ საბუთად გამოდგება შემდეგი მაგალითი: ამას წინად სტამბოლში დამატებით არჩევნის დროს ახალგაზდა ოსმალთა კანდიდატმა რიფაატ-ფაშამ მიიღო მხოლოდ 271 ხმა, როდესაც მისმა წინამოადგილემ განსვენებულმა რეფიკ-ბეიმ პირველ არჩევნის დროს მიიღო 608 ხმა. რიფაატ-ფაშის მეტოქემ, ახრარების კანდიდატმა ალიქემალმა, რომელმაც პირველ არჩევნის დროს მარტო 57 ხმა, ეხლა მიიღო 129 ხმა; დასასრულ კომიტეტის მოსისხლე მტერმა მურადბეიმ მიიღო 67 ხმა.

ახრარებმა მეტად დაუწყეს ლანძღვა ახალგაზდა ოსმალებს. უნდა ვთქვათ, რომ ახრარების პარტია მდიდარია. მას ფულს აძლევენ ბერძენი, სომეხი და არაბი კაპიტალისტები. მას წევრებად ჰყავს ბევრი მდიდარი ალბანელი და ქურდობით გამდიდრებული ფაშა. ამიტომ ახრარების კავშირმა ადვილად იყიდა ბევრი ოსმალური გაზეთი და ზოგიერთი ევროპიული გაზეთი, რომლებიც სტამბოლში სხვა და სხვა ენებზე გამოდიან. მთელი ბერძნული პრესაც ახრარების კავშირს ემხრობა. ათზე მეტი გაზეთი ამ ჟამად ებრძვის ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტს და უნდა ვსთქვათ, რომ **განსაკუთრებულის უსინიდისობითაც** ებრძვის. რადგან ამ გაზეთების მიზანი ისაა, რომ სახელი გაუტეხონ ახალგაზდა ოსმალებს და ხილმი-ფა ას სამინისტროს, ამიტომ ისინი როდი კამათობენ პრინციპიალურ საკითხებსა, ან პროგრამაზე; ეს გაზეთები რჩეობენ პირადობის გაკიცხვას, ცილის წამებას და ინსინუაციას. ხან დაჰბეჭდავენ ღია-წერილს ნიაზი-ბეისადმი, რომელსაც უცხადებენ, რომ რედაქციას ხელთ აქვს „საბუთები“ და თუ ნიაზი-ბეი რიგიან განმარტებას არ მისცემს რედაქციას, მაშინ იგი დაჰბეჭდავს ხსენებულ „საბუთებსაო“ ხან გაზ. „იკდამ“-ის ფრანგულ გამოცემის რედაქტორი და გაზ. „მეშვერეტ“-ის თანამშრომელად ნამყოფი ალბერტ ფუა ჰბეჭდავს ღია-წერილებს ახმედრიზაზედ, რომელსაც საიცარის ურცხვობით და უსაბუთობით რენეგატობას, ანგარეობას, თავმოყვარეობას და სხვა და სხვას აბრალებს.

რომ იცოდეთ, თუ რა ფასი აქვს ამ ბრალდებას, გეტყვით, რომ თითონ ამ ალბერტ ფუამ რამდენისამე დღის წინად კერძო საუბარში ასე აგვიხსნა თავისი მოქმედება.

—კომიტეტმა ხელში ჩაიგდო მთელი ძალა და ყველა შემოსავლიანი ადგილი და სხვას არავის არ უდებს წილსა, აბა ეს რასა ჰგავს! მაგალითად, მე. მე ვარ ძველი თანამშრომელი „მეშვერედ“-ისა, ჩემის წერილებით სახელი გავუკეთე ჩემ თავსაცა და თითონ ახმედ-რიზასაც, განა მე ეხლა, როდესაც ჩვენმა საქმემ გაიმარჯვა, არ უნდა მომელო რაიმე კარგი თანამდებობა. მაგრამ კომიტეტმა ცალიერზე დამსვა, შენ არ გამოდგებიო... აბა დამაცადონ ..

—რა თანამდებობა გინდოდათ?

—განა ცოტა თანამდებობაა საჩემო? აი თუნდ ელჩობა პარიზში...

რაწამს ახრარების ერთ-ერთი გაზეთი მოიგონებს [illegible] მელსამე [illegible] სხვა [illegible] ბიც [illegible] ამ „ჭორს“ გადააქცევენ ხოლმე „დიდ ამბად“. ისე დღე არ გავა, რომ ამ გაზეთებმა რაიმე ბრალი არ დასდვან ახალგაზდა ოსმალებს ამ „დიქტატორებს, „რეაქციონერებს“, „სულთნის მეგობრებს“, „სულთნისაგან შესყიდულებს“. ყოველ დღე ცდილობენ რაიმე ჭორი და ხმა გაავრცელონ იმ აზრით, რომ კომიტეტი სამინისტროს გადაჰკიდონ, ჯარი კომიტეტს, აფიცრები ჯარის-კაცებს და სხვა. მათი ანგარიში ცხადია: ყოველ ცილისწამებისა და ჭორისგან უთუოდ ცოტა ჭუჭყი და ეჭვი მაინც დარჩება ხოლმე, დღე და დღე ლანძღვა გინება უთუოდ კვალს დასტოვებს ხალხსა და საზოგადოებაში. ცხოვრება გაჭირდა, ფული არ არის, გადასახადებს მოემატა,—ეს სულ კომიტეტის ბრალიაო, ყვირიან ახრარების გაზეთები.—იქნება ყველაფერი მართლაც და კომიტეტის ბრალი იყოს! ჰფიქრობს უბრალო მცხოვრები. ახრარებსაც სწორედ ეს უნდათ. როდესაც კომიტეტს სახელი გაუტყდება და საზოგადოების ნდობა დაეკარგება, მაშინ ოსმალეთის აღორძინებისა და განახლების საქმე დაემხობა და მოვა რიგი ბერძენთა, სომეხთა, არაბთა, ალბანელთა და სხვა ერების განახლებისა.

იქნება სხვა და სხვა ერის ეროვნულ ინტერესის თვალით რომ შევხედოთ საქმეს, ეს მიზანი პატივსაცემიც იყოს, მაგრამ იგი მაინც ვერ გაამართლებს ჭუჭყიან და უპატიოსნო საშუალებას, რომელსაც შეუდგად მოსდევს გაძლიერება სიძულვილისა ეროვნებათა და პარტიათა შორის. ხალხი თან და თან ღელდება, პარლამენტის სხდომები უფრო და უფრო შფოთიანი ხდება, იღვიძებს მუსულმანთა ფანატიზმი.

უნდა შევნიშნოთ, რომ „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტს (ახალგ. ოსმალთა კომიტეტი) ჯერჯერობით უდიდესის ღირსებითა და სიდინჯით უჭირავს თავი, მისი გაზეთები სწერენ თავდაჭერით, ზრდილობიანად და საბუთიანად. რომ არავის ჰქონოდა საბუთი ეყვირნა, რომ კომიტეტი საიდუმლოდ, არალეგალურად მოქმედებს, საზოგადოებრივ კონტროლს გარეშეო, კომიტეტმა თხოვნა შეიტანა ლეგალიზაციის შესახებ და აშკარა პოლიტიკურ პარტიად გადაიქცა. კომიტეტის მეთაურები აცხადებენ, რომ ყველა ბრალდებას ჩვენ საქმით გავცემთ პასუხსაო: რეფორმებით, რომლებსაც პარლამენტის უმეტესობის შემწეობით განვახორციელებთო.

მაგრამ საქმე იმნაირად მიდის ამ ჟამად ოსმალეთში, რომ შეიძლება ძლიერ თავდაჭერილი, დინჯი კაციც გამოვიდეს მოთმინებიდან. მაკედონიაში ბოლგარები ეწევიან ჩუმ, მაგრამ მაინც სერიოზულ აგიტაციას. ალბანიაში ხალხის ერთი ნაწილი აჯანყდა. არაბეთში, იემენში გამოცხადდა მახდი, ხოლო მესოპოტამიაში ქალ. სულეიმანიას ალყა შემოარტყეს აჯანყებულმა ბედუინებმა. ქურთებმა საშინელი ყაჩაღობა დაიწყეს; მათ წინააღმდეგ გაგზავნეს მთელი ექსპედიცია. ერთის სიტყვით ბევრგან ნამდვილი ანარქია სუფევს. სომხეთსა, ანატოლიასა, აფრიკის ტრიპოლისში და მაკედონიის ნაწილში—შიმშილია. ვაჭრობა დაეცა. ფული არაა, სამუშაო არაა. და აი ასეთ პირობებში ახრარები გამწვავებით ებრძვიან ახალგაზდა ოსმალებს“.

## მოწერილი ამბები

**ვერხნეურალსკი** (ორენბურგის გუბერნია). ვისაც ამ ბოლო დროს თვალ-ყური უდევნებია გაზეთებისთვის, იმას ცოტად მაინც გათვალისწინებული ექნება ის, თუ რა განსაცდელში არიან ჩაცვივნულნი ადმინისტრატიულად გადასახლებული პოლიტიკურნი. სხვებთან ერთად დიდ გაჭირვებას განიცდიან ვერხნეურალსკში გადმოსახლებულნი. ტანისამოსისა და პურის ფულს რომ თავი დავანებოთ (რომელსაც არ გვაძლევენ), დღე არ გაივლის, ათასი უბედურება არ დაგვატყდეს. მოვა თუ არა აქ ეტაპი (20 ან 22 კაცი), მეორე დღესვე ორის ან სამის სტრაჟნიკის თანხლებით უკრავენ ამათ თავს ას ოცს—ას ორმოცდაათ ვერსის მანძილზე. ამასთან ხშირად შუა გზაზე ანებებენ თავს, შიშველ-ტიტველთ იმ ყინვებში. აქ ყაზახების სტანიცებია, სადაც გადმოსახლებული ხშირად პურსაც კი ვერა შოულობს და უმთავრესი მიზეზი ამისა ის არის, რომ ყველანი მტრულის თვალით უყურებენ. ბევრჯელ სახლებშიაც არ უშვებენ ღამის გასათევად. რა უნდა ქნას საწყალმა კაცმა, ისიც თუ რუსული არ იცის? წინ წავიდეს—გზა არ იცის, უკან დაბრუნდეს—ეშინიან, რადგან მეო-

რედ დაბრუნებენ. იყო მაგალითები, რომ ზამთარში ამხანაგებს ფეხები და ყურები დააძრა ყინვამ. ერთს, რომელიც რაღაც მიზეზით დაშორებოდა ამხანაგებს, მთელ ყინვიან ღამეში ევლო. ისე დაეძრა ფეხები, რომ თუ მალე არა, სულ მოსაჭრელი გაუხდებოდა ერთი ფეხი. კიდევ კარგი სამის თითის მოჭრით გადარჩა.

ორ გადმოსახლებულს კიდევ სხვა უბედურება დაატყდა. ისინი ყაზახების სტანიცაში კიზილში ცოფიანმა ძაღლმა დაჰკბინა. გაჰგზავნეს უფის საავადმყოფოში, მაგრამ როდის? როდესაც ნახევარი თვე გავიდა. ჩაეყვანათ უფაში და რამდენიმე ნემსი ეჩხვლიტათ, შემდეგ ისევ უკან მოიყვანეს. შესრულდა ორმოცდა ხუთი დღე და ერთი, რომლისთვისაც პირველად ეკბინა, ივანე პაპაშვილი, გაცოფიანდა. ცოცხალ-მკვდარი იგი ისევ უფაში გაჰგზავნეს.

წელს აქაური ძაზრა დაიარა ორენბურგის გუბერნატორმა. გადმოსახლებულებს, ყველას მიემართათ ტანისამოსისა და პურის ფულისთვის, მაგრამ პასუხი ესა ყოფილა: ჩვენ ვაძლევთ ფულს იმას, ვინც კოჭლი და ბრმაა. თქვენ კი შეგიძლიანთ სამუშაო იშოვნოთო. იქნებ მკითხველმა იფიქროს, რომ სამუშაოს შოვნა შეიძლება აქ ყაზახის სოფლებშიო. არა, ბატონებო, ვერავითარ სამუშაოს აქ კაცი ვერ იშოვნის. ამიტომ ზოგი ხელოსანი სოფლიდან ქალაქში გამორბის ურუმრად. თუ მალე რამე სამუშაო იშოვნა, იქნება როგორმე გადურჩეს უკან გაგზავნას. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში სამუშაოს შოვნის დროსაც ვერა რჩება ქალაქში: სამუშაოს მომცემები ვინაობის ქაღალდს მოსთხოვენ ხოლმე და რა გაიგებს გადმოსახლებულია, ცივი უარით ისტუმრებს. აი, ასეთ გაჭირვებაში არიან გადმოსახლებულნი და ხსნა კი არსაიდან არა სჩანს.

ყველა ამასთან ერთად მოკლებულნი ვართ სულიერ საზრდოსაც. აქ არ მოიძებნება არც წიგნები, არც გაზეთები. კარგია ქართველმა საზოგადოებამ ამ გარემოებას მაინც მიაქციოს ყურადღება. გთხოვთ გადმოსახლებულნი, რითაც შეიძლება შემწეობა ამოგვიჩინოთ. ადრესი: ქ. ვერხნეურალსკი, პეტრე დავლიანიძეს. მოგვდის გაზეთი „დროება“. იმედია სხვა გაზეთის რედაქციებიც არ დაიშურებენ თითო ცალს. **პეტრე დავლიანიძე.**

# უმადური გამომცემელი

(წერილი რედაქციის მიმართ)

ნათქვამია: „ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“. თუმცა საჩოთიროდ მიმაჩნია საუბარი ამ საგანზე, რაზედაც დღეს მომიხდა მკითხველთან, მაგრამ რა გაეწყობა: თქმაცა ჭირს, უთქმელობაც. თქმა იმიტომ ჭირს, რომ ფულზე და ანგარიშებზე წერა ბეჭდვითი სიტყვის შეურაცხყოფად მიმაჩნია. გავჩუმდე და არაფერი ვსთქვა, ესეც შეუძლებელია, რადგან „ფულის“ გულისთვის ბ-ნმა მიხა გაჩეჩილაძემ ჩარქი მომცხო, თუმცა ჩემი ნაწერები გამოსცა სათაურით „ცრემლები“ და თუ სარფა არა ნახა, არაფერი იზარალა. ეს ყველამ კარგად იცის. მაინც საჭიროდ უცვნია თავის პატიოსნების განსამტკიცებლად, ხოლო ვაჟა-ფშაველას დასამცირებლად გაეკეთებინა შენიშვნა წიგნის ბოლოში: „ჩვენ მიერ განზრახული წიგნების პირველი ტომი ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო (ბ. ვაჟა-ფშაველამ არ მოგვაწოდა მასალები ისე, როგორც დაპირებული იყო (?!) ვერ გამოდის იმ სახით, როგორც ჩვენ გვინდოდა“ და სხვ. ვერ უყურებთ, ვაჟა-ფშაველა როგორი უპირო ყოფილა?! (ვარ კიდეც, ღვთისა წინაშე, რადგან ბევრს, როცა სადილად მეპატიჟებიან, თუმცა პირობას ვაძლევ, მაგრამ ვერ ვასრულებ).

ჩემი არ გითხრა, გული რით მოგიკლა, ამაზეა სწორედ ნათქვამი. ვიდრე მე ვეტყოდი გამომცემელს ბ-ნ გაჩეჩილაძეს სამდურავს, იმან დამასწრო, ეს-კი ნამდვილი ფანდია, რისგანაც ბევრჯელ გახლავართ ნაწვნევი. ამისთანა ფანდებს მალე ვიცნობ და არც მაშინებს, რადგან ბოლო არა აქვს და ფანდების პატრონს უფრო აგრებს, ვიდრე იმას, ვისთვისაც ნასროლია.

რა ბევრი გავაგძელოთ და გავაჭიანუროთ, მკითხველო, მოკლედ რომ მოვსჭრათ ისა სჯობია. საქმის ვითარება ასეთია. მე მქონდა დაუბეჭდავი ლექსები, ამასთანავე პოემა, თარგმანი რუსულით „ქალის მთა“. როგორც ავტორს, რა იქმა უნდა, დაბეჭდვა მწადდა ამ ნაწერებისა. ბ-ნმა სამ. ფირცხალავამ მითხრა, გამომცემელს გი-მოვით. ვის?—გაჩეჩილაძეს. ძალიან კარგი. წამიყვანა ბ-ნ გაჩეჩილაძესთან. მოვრიგდით რვა თუმნად, პირობა არ დავგიწერია. უნდა გამოეცა 1200 ეგზემპლიარი, მეტი არა. წიგნი უნდა ყოფილიყო ას ოცდა ორი გვერდი (122) ფასი წიგნისა უნდა ყოფილიყო 25 კაპ., მასალა, რაც ხელში მქონდა, ორივემ ნახა და მითხრეს, არ გამოვა. მე უთხარი, ამოვღოთ ჟურნალ გაზეთებიდან ჩემი წვრილი ლექსები და იმითი შევავსოთ დანაკლისი. ფული გაჩეჩილაძეს მაშინვე უნდა ჩაებარებინა ჩემთვის, მაგრამ „არა მაქვსობით“ თავი იმართლა და მხოლოდ ორი თუმანი მომცა. დარჩა, მაშასადამე გაჩეჩილაძეზე ექვსი თუმანი. „დაუტოვეთ ქისაცა გსურთ, ეგ მასალა და ვიდრე ექვსი თუმანი არ ჩაგაბარო, იმასთან იყოსო“. ამ სიტყვებით გამომისტუმრა გამომცემელმა.

მასალა მე ჩემ ძმას ალ. რაზიკაშვილს დაუტოვე და მეორე დღეს სოფელში წაველი. ბ-ნმა გაჩეჩილაძემ თავისი განზრახვა მაშინვე გაზეთში გამოაცხადა და ხელის მოწერა გამართა. აღარ ვიცი რა საბუთის ძალით იქცეოდა ასე თამამად, თუ კმაყოფილი არ იყო პირობით და შავე არსებულის მასალით? ეს თქვენ განსაჯეთ. მასალაც უფასოდ ხელში ჩაიგდო იმავე დაპირებით. ჩემ ნებას დაურთველად ჩაურთავს პოემა „გველის-მჭამელი“. ეს კიდევ არაფერი, „ნიავის“ რედაქციისთვის ჩემ მიერ გადაცემული ლექსი „დილა და კვირისა“-ც შიგ მოუქცევია. ამას თვით „ნიავის“ რედაქცია შეამოწმებს. რაით, როგორ მოახერხა ეს, მე არ ვიცი. ასე და ამ რიგად 122 გვერდიან წიგნის მაგივრად გამოსცა 222 გვერდიანი ტომი. რიცხვი ეგზემპლარების ხომ არც მე ვიცი, მკითხველო, და არც თქვენ, რადგან სტამბა საკუთარი აქვს და რამდენსაც მოისურვებდა, იმდენს დაჰბეჭდავდა. ეს გამოცემა 1500 ეგზემპლიარზე მეტია გაყიდული და იმედია, ამის შემდეგაც კიდევ გაიყიდება არა 25 კაპეიკად, არამედ 50 კ.

ბ-ნ გაჩეჩილაძეს მე მოვსთხოვე დანარჩენი ექვსი თუმანი და მან ნაცვლად იმისა, რომ ბოდიში მოეხადა ჩემთან იმ უზრდელობა-თავხედობისთვის, რაც მან ჩაიდინა, მიპასუხა: „თქვენთვის ის ორი თუმანიც არ უნდა მომეცა, რაც მოგეცითო, რადგან პირობა არ შემისრულეთ. სულ ახალი მასალა უნდა მომეცითო! ამის მოწამეც გახლავთ. თუნდ ასეც იყოს, იფიქრეთ, განსაჯეთ: რვა თუმანი და ორას ოცდა ორი გვერდი ლექსი? სად არის ნამუსი და სამართალი? მე რო მიმეცა ასე იაფად და, რომ იტყვიან, ხურმის ფასად, ბ-ნ გაჩეჩილაძეს თუ ცოტა ოდენი სვინდისის ნატამალი მოეპოვებოდა, უნდა ეკისრნა? მაგრამ ვხედავთ რომ კისრულობს, რადგან ამის სრულ უფლებას აძლევს საკუთარი ზნეობრივი და ინტელექტუალური თანხა.

მე ამ წერილს იმიტომ კი არა ვწერ, რომ იმის საშუალებით ვაიძულო ბ-ნ გაჩეჩილაძე ვალი გადამიხადოს. არა. ეს საშუალება ძალიან სუსტი და ვერ გასჭრის გაჩეჩილაძესთანა ადამიანზე. მე სრულიად სხვა განზრახვა მაქვს, როცა ამ წერილსა ვწერ: საზოგადოებრისა, იცოდეს ჩვენმა საზოგადოებამ, თუ რა პირობებში უხდება ქართველ მწერალს შრომა და რა გვარ ადამიანებთანა აქვს საქმე.

**ვაჟა-ფშაველა.**

# რუსეთი

**„ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ ცირკულიარი.** „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მთავარ საბჭოს კავშირის განყოფილებებისთვის ცირკულიარი დაუგზავნია. ცირკულიარში ნათქვამია, რომ რადგან სოციალისტ რევოლიუციონერების ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაცხადა, რომ ტერორისტულ აქტებს განვაახლებთო და ეს ცენტრალური კავშირი მთლად ებრაელებისაგან შესდგება, ამიტომ რევოლიუციონერებს და ებრაელებს ნუ დაინდობთ, სასტიკად დაუწყეთ დევნა. იმ დრომდის კი, სანამ ტერორისტული აქტები არ დაუწყიათ, ებრაელებს ხელს ნუ ახლებთ, თავი შეიკავეთო.

**ლოპუხინის საქმე.** „რუსკ. ვედ.“ სიტყვით უკვე დაუმთავრებიათ საბრალმდებლო ოქმი ლოპუხინის საქმის შესახებ. საბრალმდებლო ოქმი ვრცლად ეხება პოლიციის დეპარტამენტის და აზეფის მოქმედებას. ჩამოთვლილია ყველა ის შეთქმულება და ტერორისტები, რომლებიც აზეფს გაუცია. როგორც საბრალმდებლო ოქმიდან სჩანს, ლოპუხინს კარგად სცოდნია აზეფი და მისი მოქმედება. ლოპუხინს აბრალებენ რევოლიუციონერ ორგანიზაციაში მუშაობას, რაიც ბრალდებულის ბურცევთან მისვლა-მოსვლიდან გამოჰყავთ. ამავე გაზეთის სიტყვით დაქინებით ლაპარაკობენ, რომ ლოპუხინის საქმე დახურულ კარებში გაირჩევა, რადგან საბრალდებლო ოქმი ისეთი დოკუმენტებით შედგენილი, რაიც არ შეიძლება გამოქვეყნდეს.

**მინისტრის ცირკულიარი.** საგზაო საქმეთა მინისტრს გამოუცია ცირკულიარი, რომლითაც რკინის გზის სამმართველოებს ეკრძალებათ, სტუდენტები კონტრალიორებად მიიღონ.

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: მოსკოვში 1, ხარკოვში 2, ოდესაში 1, ეკატერინოდარში 2, კიევში 1, ტომსკში 1 კაცს. სიკვდილით დასაჯეს: კამენეც-პოდოლსკში 1, ორიოლში 1, ხარკოვში 1, ეკატერინოდარში 2, ოდესაში 2 კაცი.

**ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობა გასულ სამ თვეს.** როგორც ვიცით, ბეჭდვითი სიტყვას ორი უფროსი ჰყავს, სასამართლო და ადმინისტრაცია. როგორც ყოველთვის გასულ სამ თვეს ადმინისტრაცია უფრო სასტიკი აღმოჩნდა. ადმინისტრაციას 50 მან. 87-ჯერ დაუჯარიმებია პრესა, სულ 30,675 მანეთით. აქედან, პეტერბურგში დაუჯარიმებია 18-ჯერ—10,400 მან., მოსკოვში 3-ჯერ—4,500 მ., კიევში 5 ჯერ—1,600 მ., კიშინევში 3-ჯერ—1,100 მ., ვარშავაში 4-ჯერ—1800 მ., სარატოვში 2-ჯერ—1000 მ., ვიატკაში 3-ჯერ—450 მ., ირბიტში 2-ჯერ—800 მ., რიგაში 2-ჯერ—1,000 მ., ეკატერინოსლავში 2-ჯერ—600 მ., ელისავეტგრადში, იურიევში, ნიჟნი-ნოვგოროდში, ვიშნი-ვოლოჩოკში, ხერსონში და სხვაგან თითოჯერ 500-500 მანეთით. აღსანიშნავია, რომ აზეფზე დასტამბული წერილები რუსეთის პრესსას—12,3_0 მანეთად დაუჯდა.

**გლეხის წერილი სტოლიპინთან.** «ნაშა გაზეტაში» დაბეჭდილია იარინის მაზრის ერთ სოფლის გლეხის წერილი. წერილი მიწერილია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სტოლიპინთან. ეს წერილი გლეხს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ კროპოტოვისთვის გამოუგზავნია და უთხოვია, ეს წერილი სტოლიპინს გადაეციო. მოგვყავს ეს წერილი. „თქვენო მაღალ-აღმატებულებავ, პეტრე არკადის ძევ! მაპატიეთ, რომ მე, უბრალო ღარიბი გლეხი, ვბედავ და წერილს გწერთ. მე ეს არის ეხლა წავიკითხე თქვენი სიტყვა, რომელიც თქვენ სახელმწიფო სათათბიროს მე 27 სხდომაზე წარმოსთქვით. თქვენ ამ სიტყვაში კერძო საკუთრებას იცავთ. თქვენ ინებეთ დაგვიმტკიცებინათ, რომ გლეხები გამდიდრდებიან, თუ თემის მაგივრად კერძო საკუთრება იქნება შემოღებული. მაგრამ იცით სოფლის ცხოვრება და მდგომარეობა, კარგად მეისწავლეთ სამგლეხო საკითხი? მე არ მეეჭვება იმის დამოკიდებულება, გაამდიდრებს თუ არა 9 ნოემბრის კანონი გლეხს. ეს კანონი იმას წარმოადგენს, რასაც ექიმი „ზე ცნობადისა და კეთილისა და ბოროტისა“ წარმოადგენდა. იქნებ ზოგიერთები ამ ხის ნაყოფით მართლაც «კითარცა ღმერთები» გახდნენ, მაგრამ უმრავლესობას უკან ბედი მოელის. თქვენ ამბობთ, რომ ჩემი მოვალეობაა, სიღარიბისგან, უფლებობისგან, გაუნათლებლობისგან გაანთავისუფლოთ სოფელიო და სხვა. თქვენ ამით გინდათ რევოლიუციას ებრძოლოთ. მაგრამ იცით როგორ აუწევლებენ სოფელში თქვენი მოხელეები კულტურას და განათლებას, როგორ ანთავისუფლებენ მას სიღარიბისგან, უუფლებობისგან და გაუნათლებლობისგან?“ ამის შემდეგ წერილის ავტორი მოუთხრობს სტოლიპინს თუ როგორ აკრიფეს „ნადიმებს“ სადამსჯელო(?) დარაჯებმა, რამდენი სისხლი ჩაიდინეს, რამდენი ოჯახი აატირეს და სხვა. ამის შემდეგ ავტორი სწერს: „ამის შემდეგ ხომ არა ჰფიქრობთ, რომ მოხელეების ასეთმა მოქმედებამ ლოთი გლეხები კი არ გაამრავლა, არამედ მდიდარი, მეძლეველი, მთაბრუნი და კერძო საკუთრებისადმი ნდობით აღჭურვილები? იმპერიის არც ერთ სასამართლოს, გარდა სამხედროსი, უფლება არა აქვს დამნაშავეს ტყვია მიუსაჯოს, მაგრამ გაჩნდნენ დარაჯები და სამხედრო სასამართლოს უფლება მიითვისეს. მიწათმფლობელობის ფორმა კი არ ჰბადებს და ჰკვებავს რევოლიუციას, არამედ თვითნებობა და კანონმდებლობა. მე არ ვიცი ვინ გასცა ბრძანება, რომ დარაჯებს გლეხებისთვის ტყვია გაეროთ, მაგრამ თქვენ მოგეხსენებათ ეს ამბავი თუ არა? მე მალიან მოხარული ვიქნები თუ თქვენ არ თანაუგრძნობთ ასეთ ბარბაროსულ ბრძანებებს და რომ ამისთვის დამნაშავეები დაისჯებიან. კიდევ გითხოვ პატიებას, რომ გაბედე და შეგაწუხეთ ჩემი წერილითო».

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: მოსკოვში 1, იურიევში 1, ხარკოვში 2, ვარშავაში 2, ოდესაში 1 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: კამენეც-პოდოლსკში 1, ორიოლში 1. ვარშავაში 1, ოდესაში 2 კაცი.

**საეკლესიო კრება.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველმა იცის, ზრა დაიდოდა, რომ სრულიად რუსეთის საეკლესიო კრება ამა წლის შემოდგომაზე მოხდებაო. ეს ხმა ტყუილი გამოდგა. საეკლესიო კრება 1910 წლის შემოდგომაზე მოხდება.

## წერილი რედაქციის მიმართ.

(პასუხად კვალითელ გლეხს „ჩვენი საქმე“, N 8[1])

თუმცა სარწმუნოდ მიმაჩნია, რომ გაზ. „ჩვენ საქმე“-ში მოთავსებული წერილი კვალითელ გლეხის ნაწარმოები არ არის, მაგრამ ამისდა მიუხედავად მე ამ ფსევდონიმს უპასუხებ არა იმ საზოგადოების საგულისხმეროდ, სადაც შორაპნის საკრედიტო ამხანაგობა მოქმედებს, რადგან იგი კარგად იცნობს გამგეობისა და საბჭოს წევრებს და იცის რანაირადაც მიდის საქმე ამხანაგობაში, არამედ „ჩვენი საქმის“ რედაქციის საყურადღებოდ. საზოგადოდ ეს რედაქცია ადვილად ბეჭდავს ყალბ ცნობებს ჩვენის ამხანაგობის შესახებ და ამნაირად მფარველობას უწევს იმ ჯგუფს, რომელსაც სულ სხვა ანგარიშით უნდა ძირი გამოუთხაროს ამხანაგობას. ნიადაგიც ვითომ ხელს უწყობს ამას: ერთის მხრით ადგილობრივი ვაჭრები, რომელნიც დიდ საფრთხეს მოელიან ამ ამხანაგობისაგან და მეორეს მხრით ეს რამდენიმე პირისაგან შემდგარი ჯგუფი ავრცელებენ ხალხში ყალბ ცნობებს საკრედიტო ამხანაგობის შესახებ. მაგრამ მათი უბედურება ის არის, რომ პირველად სწორედ კვალითელმა გლეხებმა იცნეს იგინი. რომ კვალითელ გლეხში რაიმე ეჭვი იბადებოდეს საზოგადო საქმის გაკეთების შესახებ, არ გამიკვირდება, რადგან უმეტეს ნაწილს იმერეთის ამხანაგობის წევრებისას კვალითელი გლეხები შეადგენე. ამ ამხანაგობამ კი მხოლოდ ორი თვე იწარმოვა და აგერ ორი წელიწადი გადის წევრებისთვის ანგარიში არ ჩაუბარებია. განა ამის შემდეგ კვალითელი გლეხი გასამტყუნარი იქნება, რომ მან ეჭვის თვალით შეჰხედოს ყოველგვარ ამხანაგობას, მაგრამ სარწმუნოდ შემ ძლიან ვთქვა, რომ შორაპნის საკრედიტო ამხანაგობას კვალითელი გლეხი ეჭვის თვალით კი არ უყურებს, არამედ დიდი იმედები აქვს ამ ამხანაგობისა. ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ ამხანაგობის დაარსების დროს ამხანაგობაში ითვლებოდა 92 წევრი [2]) პირველ იანვრამდე ამას მიემატა 109 წევრი და ამნირად გახდა 191 წევრი. 1 მარტამდე, როცა საზოგადო კრება მოხდა, უკვე 400-მდე წევრი ითვლებოდა ამხანაგობაში. მაშ საიდან შეთხზა წერილის ავტორმა, რომ ამხანაგობას გაურბიან გლეხები და აღარავინ რჩება შიგაო.

რაც შეეხება ამხანაგობის დამაარსებელთა მოქმედებას პირველ არჩევნებში, ამის შესახებ კარგა ხანია ვუპასუხე გაზეთ „დროება“-ში ბ-ნ ფონელს და მეტად მიმაჩნია აქ მისი გამეორება. ვიტყვი მხოლოდ, რომ თუ ამხანაგობის დაარსების დროს ცოტა წევრი იყო და ახლანდელმა გამგეობამ და საბჭომ ძალით აარჩევინეს თავი კრებას, პირველ მარტს რაღა იყო: ამ დღეს გამგეობამ ორი თვის ანგარიში ჩააბარა საზოგადოებას. **ერთი წევრი** გამგეობისა (კ. ღლონტი) და საბჭოს ორი წევრი (ს. ბიბილაშვილი და ა. გოცაძე) რიგით უნდა გასულიყვნენ და მათ ადგილას უნდა აერჩიათ სხვები. კრებამ, რომელსაც დაესწრო 205 წევრი, ერთხმად აარჩია ისინივე და სთხოვა დარჩენილიყვნენ. განა ეს არ ამტკიცებს, რომ აქ ნაძალადევი არა არის-რა?

აქვე მოგვყავს ორი თვის ანგარიში შორაპნის საკრედიტო ამხანაგობისა 1908 წლის 5 ნოემბრიდან 1909 წლის 1 იანვრამდე, რომელიც 1 მარტის საზოგადო კრებამ უკვე განიხილა და დაამტკიცა.

| | ქასის შემოსავალი: მანეთ. | კაპ. | ქასის გასავალი: მანეთ. | კაპ. | დარჩენილია წლის ბოლოს: მანეთ. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ა ქ ტ ი ვ ი** | | | | | | |
| ძირის თანხა | 2000 | — | — | — | 2000 | — |
| [illegible] თანხა | 770 | — | — | — | 770 | — |
| მეპან. (ვექსილი) ფული | 1402 | — | — | — | 1402 | — |
| ნასესხები | 2000 | — | — | — | 2000 | — |
| [illegible] ჯამი | 7 | 50 | — | — | 7 | 50 |
| სარგებელი და ძღვენა | 370 | 30 | 155 | 14 | 215 | 16 |
| ჯამი | 6549 | 80 | 155 | 14 | 6394 | 66 |
| [illegible] აქციები | 2844 | — | 4145 | 04 | 1301 | 04 |
| გასესხებული | — | — | 5000 | — | 5000 | — |
| გასავალი და ზარალი | 155 | 14 | 155 | 14 | — | — |
| ჯამი | 2999 | 14 | 9300 | 18 | 6301 | 04 |
| ნაღდი ფული | | | | | 93 | 62 |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | 9548 | 94 | 9455 | 32 | 6394 | 66 |

როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს ამხანაგობას დარჩა წმინდა მოგება 215 მან. 16 კ., რომელიც საზოგადო კრებამ, გამგეობის წინადადების თანახმად, და წესდების მე-80 პარაგრაფის მიხედვით, 86 მ. 6 კაპ. გადარიცხა ძირის თანხაში, ხოლო 129 მან. 9 კ. სათადარიგო თანხაში.

რაც შეეხება იმას, ვითომ ჩვენი ამხანაგობა მდიდრებს აძლევს სესხს და ღარიბები კი რჩებიან, ესეც იმდენად სიმართლეა, რამდენადაც სხვა იმ წერილში მოთავსებული მოთხრობილი ამბები. ამნაირი დაუსაბუთებელი ნათქვამი პასუხის ღირსიც არ არის. **ი. გუნცაძე.**

[1] ამ წერილის დაბეჭდვა დაგვიანდა. რ.
[2] ამხანაგობამ დაიწყო მოქმედება 5 ნოემბერს 1908 წ.


60 მანეთიანი 30 მანეთად




ქ. ქუთაისში

ა. რ. თაბაგრის მაღაზიაში

მუდამ იყიდება საუკეთესო საკერავი მაშინები, ველოსიპედები, ჩოკლის საქსოვი მანქანები, გრამოფონები და ყოველივე მათი მოწყობილობა.

ფასები მესამედზე დაკლებულია




60 მანეთიანი 30 მანეთად

(100—6—30)

პირველი კერძო სამკურნალო
[illegible]
დაარსებულია 1880 წელს
უოველ დღე, კვირეებს გარდა

დ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**უ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—63)

სამკურნალო
გარედან მოსიარულეთათვის
ექიმი ა. ი. გრიგორიანისა.
რიყის ქ., ს. N 78, (სათივე მოედ. პირდაპირ.)

**ს. მ. ახპისოვი**—ყელისა, ცხვირისა და ყურისა 2—3 საათამდე.
**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიული ავადმყოფობანი 12—1 ს.
**ს. ზ მირზოევისა**—თვალის ავადმყოფობანი 12—1 ს.
**ი. ა. ფრიდონოვი**—შინაგანი და ბავშვის ავადმყოფ. 1—2 ს.
**ს. ა. თარხანოვი**—ბებიაობა, ქალისა და ბავშვის ავად. 9 ნახ.-დან 10 ნახ.-ს.-მდე.
**ა. ი. შახ-აზიზოვი**—საშარდე, ვენერ. (სიფილ.) და კანისა 2—3 ს.
**ნ. ბ. ნარიმანოვი**—შინ. და ქალ. 11—12 ს., 5—6 ს.
**ე. მ. ზვიაგინა**—კბილ. 9—11 ს.
**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**
ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით.
სამკურ. გამგე დ-რი **ა. ი. გრიგორიანი.** (100—ხალ.—31)

**ექიმი** ე. ს. **ხუნდაძე** ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლევამოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექლოვისა. (წლ.—6.—39)

ისყიდება სასურთალოზე

საუკეთესო ადგილზე სახლები ოთხი თვალი დუქანი თავის ოთხი ოთახით, მაღლა ორი ოთახი; ადგილის ზომა 300 საჟენი; შიგ კარგი გომი, პატარა ბაღჩა თავის კარგი ფიცრის ღობით, ორი სარაია; ერთი საზაფხულო სარდაფი, შიგ არის კარგი დუქანი სასმელისა კარგი მოწყობილობით. იქვე იკითხეთ
(5—83—3) **ნიკო ბაიაძე.**

პეტერბურგში გამოვიდა რუსულ ენაზე ახალი წიგნი მალაქია ბოლქვაძისა

ნუ რუვნით ქალებს!..

ანუ

„კაცობრიობის მტერნი“

შინაარსი: წინასიტყვაობა.—წარსული.—აწმყო.—სქესობრივი ინსტიქტი და გონება.—მრუშის პსიხოლოგია.—გონს მოდით.

ფასი 65 კაპ.

„დროების“ ხელის მომწერთ დაეთმობათ 50 კაპ. შემოსავლის ნაწილი გადაეცემა ტფილისის ქართველ ქალთა წრეს. დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადრესით: Петербургъ, Сергіевская, 51, ф. Каминской

გაფრთხილება

რადგან ზოგიერთნი ჩვენი ეტიკეტების მსგავს ყალბ ეტიკეტებს ამზადებენ თავიანთ დაბალ საქონლის გასავრცელებლად, კოლოფებზე ხმარობენ იმავე ფერის და მარკას და ამით აბათილებენ ჩვენ მაღალ ხარისხიან პაპიროსებს:

„სიმპატიას“ 10 ცალი 5 კაპ. № 8 10 ცალი 5 კაპ.

მარკას და გვარს

Н. И. Бозарджянцъ съ С-ми.

(10—6а—3)